# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 11 თებერვალი 2005 №29 (2352) ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



**ქართული ფეხბურთის ახვარ ლახვარი**

ნუ ესვრით მეტოქეს ყინულს



**თბილისის აღდგენა გოგუათი გაგრძელდება**

ნაკრების დებიუტანტი დინამოში არ ითამაშებს



**მარხვა 63**

ოცი სამქულიანის ამბავი

15

# არის თუ არა ნაკრები ზაზუნა?

## მელიქია და ჟორჟიკაშვილი: არგუმენტები პოსტ ფაქტუმ



კობა ჟორჟიკაშვილი

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე ძველი, ღვაწლმოსილი თაობის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს მწვრთნელად ლევან მელიქია დაუმტკიცეს, ხოლო ვერგასული კანდიდატი კობა ჟორჟიკაშვილი გახლდათ.

მელიქია თავის პროტექტორებზე ამბობს, ალექსანდრე ჩივაძემ ეროვნულ ნაკრებში საუკეთესო შედეგი აჩვენა, ვლადიმერ გუცაევმა კი იტალიელ 21-წლამდელებს 2:0 მოუგო, ხოლო მე ის შემიძლია, რაც ჩემი ხნის ზოგ ქართველ მწვრთნელს არაო.

ჟორჟიკაშვილის განსჯით კი, ეროვნული გუნდი, თუნდაც ასაკობრივი, საექსპერიმენტო ზაზუნა არ არის. ნაკრები მწვერვალია და მისკენ მწვრთნელი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიდიოდეს.

მოკლედ, მელიქია და ჟორჟიკაშვილი თავიანთ არგუმენტებს ამზეურებენ.



ლევან მელიქია

# შტანგის ერთ მხარეს საქართველოა, მეორეზე — საბერძნეთი





როცა სიდნეის ოლიმპიური თამაშების დასრულებისას იქვე „ქართულ სახლში" ვიზიტის დროს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოქალაქეობაგამოცვლილი საქართველოს სპორტსმენების სამშობლოში დაბრუნებაზე საუბრობდა, მის გვერდით იდგა ერთ დროს ჩვენი, მერე კი ბერძენთა სახელით მოასპარეზე კახი კახიაშვილი, რომელთანაც ბოლოს ხელგადახვეულმა სამახსოვრო სურათი გადაიღო. ეჭვი არ იყო, რომ პრეზიდენტი ჩვენი და ბერძენთა საზიარო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის დაბრუნებაზეც ფიქრობდა. მერე, შემდგომაზე, როცა კახი კახიაშვილი თბილისში ჩამოვიდა და მას დაბრუნებაზე სიტყვა ჩამოვუგდეთ, მისი გულისთქმა გაორებული გვეჩვენა. და აი, კახიაშვილისთვის ალბათ საუკეთესო გამოსავალიც მოინახა — მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველივე სხდომაზე ხელი მოაწერა განკარგულებას კახი კახიაშვილის საქართველოს მოქალაქეობის თაობაზე. იქვე საქართველოს პრეზიდენტმა თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ძალოსანს საქართველოს პასპორტი გადასცა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ საქართველოში ორმაგი მოქალაქეობააო შემოღებული.

# ქართული ფეხბურთის ახვარ-ლახვარი

„…ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ საქართველოს ნაკრებმა „ლოკომოტივის" სტადიონზე აღარ ითამაშოს — თქვა საქართველო — ლიტვის ამხანაგური მატჩის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

…ვიღაც ნაძირალა სტუმართა კარს უკან დგას და ლიტველთა მეკარეს გუნდებს ესვრის — ეს უკვე „ლოკომოტივის" სტადიონის ინფორმატორის ნუგზარ ჯულელის სიტყვებია, რომელიც მატჩის მიმდინარეობისას რეპროდუქტორებში გაისმა.

ვიღაც კი არა, გუშინწინ „ლოკომოტივის" ტრიბუნაზე ბევრი ნაძირალა იყო შეკრებილი, ისეთები, საკითხავი რომაა, ოჯახში გაიზარდნენ თუ ტყეში.

…აღმოსავლეთ ტრიბუნაზე დასხდომა გადავწყვიტეთ. მოედნის დამცავ მესერს შემოვუარეთ და უკვე მაშინ, მატჩამდე 10-15 წუთით ადრე რამდენიმე ნაძირალა „ლოკომოტივის" სკამებს თუ ბეტონს მიყინულ თოვლის გუნდებს იმარაგებდა, რა თქმა უნდა, ლიტველთა „გასამასპინძლებლად". დაიწყო შეხვედრა და, მტერს და ავს, ფეხბურთელებსა თუ მოედნის გარშემო მყოფთ რა დღეც დაადგათ. წარმოიდგინეთ, 20-30 მეტრიდან ნასროლი ყინულის ნატეხი რომ შენი მიმართულებით მოფრინავს…

მერე ერთმა ჩემმა თანხმლებმა ერთ-ერთ მართლა ახვარს შენიშვნა რომ მისცა, ყინულს რად ისვრით, პასუხი არ გაინტერესებთ?



ლიტველს ვესვრი, შენ ხომ არა, მოხვდეს, მაგის დედაცო…

რა სტუმართმოყვარეობა, რომელი გულთბილი მასპინძლობა… ბოლო დროს სტუმარი გუნდი თუ მისი ქომაგი თბილისიდან შეურაცხყოფის გარეშე არ წასულა. ან რა უბედურებაა, მსაჯის ფინალური სასტვენის შემდეგ მოედანზე შევარდნა და ფეხბურთელთა მაისურების მათხოვრობა?! ან ის, ვითომ დამცავი მესერი მოაშორეთ „ლოკომოტივის" მოედანს და დაცვა დააყენეთ, ან კიდევ ისე ჩარაზეთ, სტადიონზე უბილეთოდ მოხვედრილმა ბიჭ-ბუჭობამ ფეხბურთელებამდე ვერ მიაღწიოს და მაისურაზე ვერ ჩამოეკიდოს.

როდემდე უნდა შეიყაროს სტადიონზე ასეთი ხროვა? ვინ არის პასუხისმგებელი? ფედერაცია სტადიონს იჯარით იღებს, სტადიონი რას აკეთებს?

**კობა ინასარიძე**

# თბილისის აღდგენა გოგუათი გაგრძელდება



**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ ლიტვასთან მატჩში ეროვნული ნაკრების დებიუტანტი, 21 წლის გოგიტა გოგუა სეზონს „თბილისში" ჩაამთავრებს.

„თბილისში" მომხდარი რეორგანიზაციის შედეგად გოგუა თბილისის „დინამოში" აღმოჩნდა და ერთი მატჩი ითამაშა კიდეც „დინამოს" მაისურით მარბელას ტურნირზე. ლაპარაკი გოგუას „დინამოში" იჯარით გადასვლაზე იყო, მაგრამ გუშინ „თბილისის" ერთ-ერთმა მესვეურმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, რომ თუ გოგუა საქართველოში დარჩება, მხოლოდ „თბილისში" ითამაშებს.

გუგეშაშვილის „თუ" იმითაა განპირობებული, რომ გოგუათი ამსტერდამის „აიაქსია" დაინტერესებული. ლიტვასთან მატჩზე „აიაქსის" სელექციონერი რუდი კროლი უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „აიაქსმა" შინ „ტვენტესთან" 1:2 წააგო და ამსტერდამულ გიგანტში ახლა ძალიან მძაფრი სიტუაცია ყოფილა. კროლს უთქვამს, გოგუას სანახავად მარტში ჩამოვალ, თქვენი ნაკრების საბერძნეთთან ან თურქეთთან მატჩზეო.

შეგახსენებთ, რომ გოგუას კროლთან ალენ ჟირესმაც კარგი რეკომენდაცია გაუწია სატელეფონო საუბრისას. თუ კროლი მარტში ჩამოვა თბილისში და გოგუას თამაში მოეწონება, ჩვენებურს „აიაქსში" უხმობენ, ჯერ სავარჯიშოდ — ასეთია ამ საქმის წინასწარი მონახაზი, რადგან სატრანსფერო ფანჯარა ზაფხულამდე დახურულია.

შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ „თბილისმა" ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, თუმც რამდენიმე მათგანი ახლა გუნდში რჩება.

**დავით თავართქილაძე**



# კოკა წყალს ზღვისპირელებს მიუტანს

**ფოთის „კოლხეთს"** ზამთრის შესვენებაზე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა და ამათში ერთ-ერთი მთავარი დანაკლისი მერაბ ძოძუაშვილის აზერბაიჯანულ „ბაკიში" გადასვლა იყო. „ჩოქსას" შემცვლელად კი ზღვისპირელებმა ექს-თბილისელი ფორვარდი კოკა მიკუჩაძე შეიგულეს. მიკუჩაძე იმ 21 ფეხბურთელს შორისაა, „თბილისის" ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე რომ დააყენა.

უკვე ერთი კვირაა, კოკა სერგო გაბელაიას გუნდში ვარჯიშობს და თუ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზეც ისე შედეგიანად ათამაშდება, როგორც სეზონის დასაწყისში, „კოლხეთს" გავარდნის საფრთხე აღარ დაემუქრება.

ფოთელებმა მცველი ზაზა ცქიფურიშვილიც დაიმატეს, რომელსაც გაბელაიას ხელქვეით ჯერ კიდევ თბილისურ „მერანში" უბურთავია. გუშინწინ კი ზღვისპირელებმა ტესტ-მატჩი გამართეს თელავის „კახეთთან". თამაში 3:3 დასრულდა, ფოთელთაგან გოლები ზვიად ქუთათელაძემ, მიხეილ ქობულაძემ და მიხეილ თაყაძემ შეაგდეს.

როგორც სერგო გაბელაიამ გვითხრა, „კოლხეთი" საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის უკვე დაკომპლექტდა.

**ილია ნანობაშვილი**

# პარამონოვი და ფურთუხია დინამოში

**„ზესტაფონის"** ნახევარმცველი დიმიტრი პარამონოვი მახაჩყალის „დინამოში" რომ აპირებდა გადასვლას, ადრეც გაუწყეთ. პარამონოვი თანაგუნდელ ლევან ფურთუხიასთან ერთად უკვე შეუერთდა ახალ გუნდს და ევპატორიაში მოსამზადებელ შეკრებაზეც გაჰყვა.

ქართველი ფეხბურთელები მახაჩყალურ კლუბში რევაზ ძოძუაშვილის რეკომენდაციით მოხვდნენ. შეგახსენებთ, რომ ძოძუაშვილი „დინამოს" სპორტული დირექტორია.

პარამონოვს და ფურთუხიას კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუფორმებიათ.

**კახა შალამბერიძე**


ფრანგულ-ქართული კომპანია
"ლეონსიო"
(ელექტრონული დაცვის სისტემები)
გთავაზობთ
დისტანციური მართვის უკაბელო სიგნალიზაციის მონტაჟს ოფისებსა და ბინებში საგანგაშო (SOS) ღილაკით
მონტაჟი უფასოა
უპროცენტო განვადებით
მისამართი: ბოდბეს შეს. №6, ქ. თბილისი
ტელ: (995 32) 26 80 80, (995 32) 27 30 99
ფაქსი: (995 32) 27 30 99

ისეთივე საიმედო, როგორც მოედანზე!

# რადგან ნათლია ვარ, მწვრთნელობა არ მეკუთვნის?!

## მე შემიძლია ის, რაც ჩემი თაობიდან ბევრს არ შეუძლია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა 8 თებერვალს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად ლევან მელიქია რომ აირჩია და ამ გადაწყვეტილებას აყალმაყალი და დაპირისპირება მოჰყვა, ერთია, მაგრამ რა იქნება შემდეგ? როგორ გაართმევს საქმეს თავს მელიქია?*

*ლევან მელიქიას მთავარი პროტექტორები ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და აღმასკომის წევრი, პარლამენტარი ვლადიმერ გუცაევი იყვნენ. ეს სამეული ერთად თამაშობდა თბილისის „დინამოში", მელიქია და ჩივაძე კი ნათესავებიც არიან და, როცა მელიქია საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის" ბაზაზე მოვინახულეთ, საუბარი იქიდან დავიწყეთ, რომ...*



— ჯერ ნათლობაზე უნდა ვთქვა — მე ჩივაძის შვილის ნათლია ვარ, ჩივაძე კი თხუთმეტი წელია, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, მაგრამ მისთვის არასდროს მითხოვია, ამა თუ იმ ადგილზე დამნიშნემეთქი. ახლა კი ვგრძნობ, რომ უკვე მზად ვარ 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობისთვის. მე „ოლიმპიკის" პრეზიდენტმა კარლო მჭედლიძემ წარმადგინა 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის პოსტზე და აღმასკომმა დამამტკიცა. რადგან ჩივაძის ნათესავი ვარ, არ მაქვს უფლება, გუნდი გავწვრთნა?

**— რამდენი ხანია, მწვრთნელი ხართ?**

— 1996 წლიდან ვმუშაობ ბავშვთა ფეხბურთში, „ოლიმპიკის" სკოლაში. მანამდე ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დელეგატიც ვიყავი, მოკლედ, ფეხბურთში ვტრიალებდი.

**— თქვენ სამწვრთნელო ლიცენზია არ გაქვთ...**

— მე ფიზკულტურის ინსტიტუტის საფეხბურთო მწვრთნელის დიპლომი მაქვს, ხოლო B ლიცენზიის კურსს აუცილებლად გავივლი გაზაფხულზე. განათლების და რაც შეიძლება მეტი ცოდნის შეძენის მომხრე ვარ.

**— 17-წლამდელთა მწვრთნელი გახდით — საერთაშორისო თამაშების გამოცდილება თუ გაქვთ?**

— „ოლიმპიკი" რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე ვათამაშე — იტალიაში და თურქეთში — და მალე კიდევ წავალთ ამ ქვეყნებში „ოლიმპიკის" 17-წლამდელთა გუნდით — ამ ასაკის „ლაციოს", „პერუჯას" და „ტრაბზონსფორის" გუნდებთან მოგვიწევს თამაში.

**— თქვენი კანდიდატურა აღმასკომის სხდომაზე, ფაქტობრივად, ომით გავიდა — მიგაჩნიათ, რომ მთავარი ბრძოლა უკვე გადაიტანეთ?**

— საომარი აწი გვაქვს — ერთერთი ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი გავხდი და დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია. ჩემს კანდიდატურას რომ ვაყენებდი, ვიცოდი, რაზეც მივდიოდი.

**— თქვენს კანდიდატურას ისეთმა ხალხმა დაუჭირა მხარი, ადრე ეროვნულ ნაკრებს რომ წვრთნიდნენ და ხელმოცარულები დარჩნენ — ალექსანდრე ჩივაძე და ვლადიმერ გუცაევი...**

— ვერ ვიტყვი, რომ ჩივაძემ წარუმატებლად იმუშავა ნაკრებში, რადგან მისი ხელმძღვანელობით გუნდმა თავის პირველ შესარჩევ ციკლში მესამე ადგილი დაიკავა — ასეთი ან ამაზე უკეთესი შედეგისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მას შემდეგ აღარ მიუღწევია. ხოლო როცა გუცაევი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო, იტალიას 2:0 მოუგო.

**— იტალიასთან გუცაევის გაწვრთნილმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა სტუმრად 0:6-იც წააგო...**

— ასეთი ანგარიშით ყველა მწვრთნელს წაუგია. მიმაჩნია, რომ როცა ჩივაძე და გუცაევი თავკაცობდნენ ეროვნულ ნაკრებს, იმ დროისთვის მწვრთნელობის უკეთესი კანდიდატურები არ იყვნენ.

**— როდის გადაწყვიტეთ, რომ 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობას შეძლებდით?**

— ამაზე შარშან დავიწყე ფიქრი და კადრების მომზადებაც დავიწყე, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ 17-წლამდელთა ნაკრები მეტწილად „ოლიმპიკის" ჭაბუკებით დაკომპლექტდება, ყველა სკოლის იუნიორებს მივაქცევთ ყურადღებას, მათ შორის დასავლეთ საქართველოში მოთამაშეებსაც. შესარჩევ ეტაპამდე დაგეგმილი გვაქვს სერიოზულ ტურნირებში მონაწილეობა — იტალიაში, თურქეთში და რუსეთში. რაც შეეხება შეკრებებს, ამაზე უნდა ვესაუბრო ფედერაციის ხელმძღვანელთან. ჯერ გადაწყვეტილი არაა, განა იქნება ჩემი თანაშემწე.

**— ნაკრებში მუშაობისას აქცენტს რაზე გააკეთებთ?**

— ფიზიკურ მომზადებაზე. ნაკრებში პირველ რიგში იმ ფეხბურთელებს უნდა ვუხმოთ, რომლებიც გაუძლებენ ევროპული დონის დატვირთვებს. შესარჩევ ეტაპამდე ექვსი თვე დარჩა და ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ.

**— მალე 50 წელი შეგისრულდებათ და საქართველოში თქვენი თაობის მწვრთნელებმა, ფაქტობრივად, ვერაფერს მიაღწიეს. თუ რამ საინტერესო გაკეთდა, მხოლოდ ახალგაზრდა მწვრთნელების მიერ. თუნდაც „თბილისის" მაგალითი ავიღოთ — გუნდში გიორგი დევდარიანის მისვლამდე მასზე ბევრად გამოცდილი მწვრთნელები მუშაობდნენ, მაგრამ „თბილისი" საინტერესო გუნდად მხოლოდ დევდარიანის ხელში იქცა. აღარაფერს ვამბობთ გია გეგუჩაძის შარშანდელ წარმატებებზე „დინამოში". თქვენი თაობის მწვრთნელები კი თითქოს ალღოს ვერ უღებენ თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს...**

— დევდარიანის დროს „თბილისს" მართლაც დაეტყო მწვრთნელის ხელი. მიკვირდა, როგორ მიაღწია ამდენს დევდარიანმა და ისიც მიკვირს, რომ ის ახლა აღარაა „თბილისის" მწვრთნელი. რაც შეეხება ჩემი თაობის მწვრთნელებს, ყველას ალბათ არ შეუძლია, ალღო აუღოს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ მე ეს შემიძლია — ეს რომ არ შემეძლოს, ამხელა პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ ავიღებდი.

**დავით თამართძილაძე**

# სად იმალებოდა ჩივაძე-გუცაევის ინტუიცია?

## კობა ჟორჟიკაშვილი: ნაკრები საცდელ პოლიგონად აქციეს

*ისედაც სკანდალუხვ ქართულ ფეხბურთს 8 თებერვალს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ერთიც მიემატა — 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად კობა ჟორჟიკაშვილის დანიშვნა თითქოს გადაწყვეტილი იყო, თუმც აღმასკომმა ნაკრები ლევან მელიქიას ჩააბარა. ამას მოჰყვა „თბილისის" ხელმძღვანელების — პრეზიდენტ ნიკა დოლიძისა და დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილის აღშფოთება და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძისა და აღმასკომის წევრ ვლადიმერ გუცაევის მისამართით გამოთქმული დიდი გულისწყრომა. მელიქიას კანდიდატურა უმთავრესად სწორედ ამ ორის მეშვეობით გავიდა.*

*კობა ჟორჟიკაშვილს კი გული სწყდება, რომ საქართველოში ყველაფერი ნაცნობ-მეგობრობით და „ეს ჩემი კაციას" პრინციპით წყდება. ჟორჟიკაშვილის ნაუბარში ბევრ მწარე სიმართლეს ამოიკითხავთ, თუმც გააჩნია, ვინ როგორ გაიგებს...*



— ალალად გეტყვით, ლევან მელიქიას მიმართ პიროვნული პრეტენზიები არასოდეს მქონია, მასთან მხოლოდ კარგი ურთიერთობა მაკავშირებს. ნებისმიერ საქმეში კანდიდატურის შერჩევის გარკვეული კრიტერიუმები არსებობს. ჩივაძე და გუცაევი რომ ამბობენ, მელიქია საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკში" 1989 წელს დაბადებულ ბავშვებთან მუშაობსო, მგონი, მეც ამ ასაკისებს ვავარჯიშებ. კრიტერიუმებში იგულისხმება შედეგები და განათლება როგორც ზოგადი, ისე პროფესიული, მაგრამ... გუცაევს და ჩივაძეს თურმე ინტუიცია კარნახობს... კი, ბატონო, ორივენი ძლიერი ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ ასე თუ ავიღებთ, პელეზე დიდი ინტუიცია არავის უნდა ჰქონდეს, თუმც, გინახავთ როდესმე, „ფეხბურთის მეფის" პროგნოზი გამართლებულიყოს?!

...ჩივაძე-გუცაევის ტანდემი აცხადებს, შანსი ყველას უნდა მივცეთო. 1989 წელს დაბადებულებთან ჩემსა და მელიქიას გარდა კიდევ ასი კაცი მუშაობს. მაშინ სათითაოდ ყველას ჩავაბაროთ ნაკრები და ავშენდებით... გუცაევი ამბობს, ჟორჟიკაშვილი მაგარი სპეციალისტი რომ იყოს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეხუთე-მერვე ადგილებზე კი არ გაიყვანდა გუნდს, ჩემპიონს გახდიდაო. თავად გუცაევმა და ჩივაძემ რატომ ვერ გააკეთეს მწვრთნელობისას ვერაფერი? ეგ ინტუიცია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რატომ ვერ გამოამჟღავნეს?

...ძველ დამსახურებას ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ქართული ფეხბურთის მომავალი? იმას კი არ ფიქრობენ, რომ კარსაა მომდგარი შესარჩევი მატჩები და მართლა ობიექტურად შეარჩიონ მწვრთნელი. არა, ნაკრები თურმე საცდელი პოლიგონია. ჩემი აზრით კი, ნაკრები მწვერვალია, სადაც წარსული შედეგების მიხედვით უნდა ახვიდე, მე კი ეს ალმართი „მრეტებში", „მუხრანსა" და „ლოკომოტივში" მუშაობისას ავიარე.

...ჩემმა გაწვრთნილმა ნაკრებმა პოლონეთის, გერმანიისა და უნგრეთის კომპანიაში ჯგუფიდან რომ გაღწია, ვილაც-ვილაცებმა ქილიკი დაიწყეს — დიდი ამბავი, გერმანიასა და პოლონეთს თუ მოუგესო. აბა, ამის შემდეგ რაზე უნდა ილაპარაკო? დამღუპველი ისაა, რომ ფეხბურთში მოტრიალე ხალხმა ყველაფერი იცის, მაგრამ სიმართლის ოქმას ერიდებიან, სამსახური არ დავკარგოთო.

...ახლა ისევ მშვიდად გავაგრძელებ მუშაობას „ოლიმპის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში და ცოტა ხანში კიდევ ნახავენ ჩემ გაზრდილ ფეხბურთელებს. „თბილისიდან" ახლახან წასული ფეხბურთელების დიდმა ბირთვმა ჩემ ხელში გაიარა და ასეთები კიდევ იქნებიან. რას მივაწეროთ ჩივაძისა და გუცაევის ნათქვამი — მელიქია „ოლიმპიკში" სწორედ იმ ბავშვებთან მუშაობს, რომლებმაც გაისად 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშონო? ესე იგი, „ოლიმპიკში" უკვე ნაკრები ჩამოუყალიბებიათ.

...ერთხელ ალენ ჟირესს ვესაუბრე და, ისე გაუხარდა ჩემი მონდომება, რომ საფრანგეთიდან სამწვრთნელო სემინარების მასალები ჩამომიტანა. ან ჟირესის პროფესიული მიდგომა რად ღირს, ნაკრებზეა გადაყოლილი. თანაც ამხელა დონის ფეხბურთელი როგორი უშუალო და თავმდაბალია. როგორ, ჩივაძესა და გუცაევზე ნაკლები მოთამაშე იყო?

**ლუკა თალაკვაძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# უკრაინამ ალბანეთს პრემიები გაუყინა

**ალბანეთი 0:2 უკრაინა**

0:1 რუსოლი (40), 0:2 გუსინი (59)

**ალბანეთი:** სტრაკოშა, დალკუ, დურო, ჩანა, ჰაჯი, ჩიპი (ოსმანი 57), ლალა, ალიაი, შკელა, ტარე (ბოგდანი 64), ბუში (მურტაი 76)

**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ბრიგელი

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, იეზერსკი, რუსოლი, შელაევი, ო. გუსევი, როტანი (ვორობეი 68), ტიმოშჩუკი, გუსინი, ა. შევჩენკო, ვორონინი (რიკუნი 81)

**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი

**გაფრთხილება:** შელაევი, ვორონინი, ვორობეი

**მსაჯი:** სტივ ბენეტი (ინგლისი)

22 000 მაყურებელი



ანდრეი შევჩენკომ ალბანელებთან „მილანის“ დასტურით ითამაშა

**ჩვენი** ჯგუფის ლიდერმა პოზიციები გაიმყარა — უკრაინამ ალბანეთს 2:0 მოუგო და უკვე ექვსი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ოლეგ ბლოხინის გუნდს სხვებზე ერთით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

ალბანელები უმოტივაციოდ სულაც არ იყვნენ, მაგრამ თამაშამდე ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ისინი კიდევ უფრო აანთო — მოგების შემთხვევაში ალბანეთის მთავრობა ნაკრებს 400 ათას ევროს დაჰპირდა. ამას დაუმატეთ ფეხბურთის ფედერაციის პრემია 300 ათასი ევრო და გამოვიდა, რომ „არწივებს“ ჯიბის გასქელების მშვენიერი შანსი ჰქონდათ.

სხვათა შორის, წინა საშინაო მატჩში, როცა ალბანეთმა საბერძნეთს 2:1 მოუგო, პრემიერ-მინისტრი 600 ათას ევროს გამოვიდა...

უკრაინელებმა ტირანაში უძლიერესი შემადგენლობა ჩაიყვანეს — მილანელი ანდრეი შევჩენკო და ლევერკუზენელი ანდრეი ვორონინი ნავარაუდევზე ადრე მომჯობინდნენ, რამაც ალბანელები გვარიანად დააფრთხო. შევჩენკო ალბანეთში „მილანის“ ორ წარმომადგენელთან ერთად ჩაფრინდა, მათგან ერთი ექიმი იყო და სწორედ მისი დასტურის შემდეგ მიეცა „შევას“ მოედანზე გასვლის უფლება.

სტუმრები ანდრეი რუსოლმა დააწინაურა — კუთხურისას უკრაინელს გაუმართლა, სხვებს აცდენილი ბურთი მას მიუვიდა და საჭირო გოლიც გაიტანა — ეს ამბავი მე-40 წუთზე მოხდა.

ალბანელები გასათანაბრებლად გაიქაჩნენ, მაგრამ მალევე ჩამოყარეს ფრთები: ანდრეი გუსინმა შევჩენკოს პასით იხეირა — 0:2.

ნამატჩევს უკრაინელები, ცხადია, გახარებულები იყვნენ და ეს მათ კომენტარებშიც ჩანს:

*ანდრეი ვორონინი:* „დღეს ჩვენთვის უმთავრესი შედეგი იყო. ახლა ჯგუფის ლიდერები ვართ და ეს წარმოუდგენელიც კი ჩანს. ცოტა ხნის წინ ხომ ამაზე ფიქრი არავის შეეძლო. ასევე უნდა გავაგრძელოთ“.

*ანდრეი გუსინი:* „თავიდან მაგრად გაგვიჭირდა, მაგრამ მოვიგეთ და ეს ძალიან მახარებს. ყველაფრით კმაყოფილი ვარ“.

**კახა შალამბერიძე**

---

**მიქელე იანკუ ტირანიდან საგანგებოდ სარბიელისთვის**

**მესამე წელია,** ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი გერმანელი ჰანს-პეტერ ბრიგელია და მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდს უკრაინასთან მატჩის გარდა სხვაც ბევრი წაუგია, ასეთი ნირწამხდარი და გაწბილებული ბრიგელი აქამდე არ გვახსოვს:

— ალბანეთის ნაკრებს ცუდად ბევრჯერ უთამაშია, ბევრიც წაგვიგია და მოსაგებიც ვერ მოგვიგია, მაგრამ რაც უკრაინასთან მოხდა, ნამეტანი იყო. საშინლად იმედგაცრუებული ვარ, ალბანეთში მუშაობის პერიოდში ჩემს გუნდს ისე არასდროს უთამაშია, როგორც დღეს — მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბრიგელმა სულ რამდენიმე სიტყვა თქვა, თავი ხელებში ჩარგო და ლამის პატარა ბავშვივით აცრემლდა.

არადა, მართლაც ძნელ[illegible] გადასატანი იყო უკრაინასთან მარცხი, რამაც ალბანეთის ნაკრების ოცნება — ეთამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე — ოცნებადვე დატოვა.

სავსე „ქემალ სტაფა“, 100-მეტრიანი ეროვნული დროშა, რომელიც შავ-წითელ ტრიბუნას ჰიმნისას გადაევლო, ზეიმის მომლოდინე 22 ათასი ალბანელი, დამუხტული მთელი ტირანა — მოკლედ, გამარჯვების იმედი. ასეთი განწყობა შესარჩევი ეტაპის პირველივე, საბერძნეთთან მატჩის წინაც იყო და მაშინ ჩვენთვის ყველაფერი კარგად დასრულდა.

საოცარი კონტრასტი გახლდათ — 90 წუთის შემდეგ „ქემალ სტაფა“ ერთიანად დადუმდა. ხმაგაბზარული ქომაგები, მოწყენილი ფეხბურთელები, გასახდელიდან გამოსვლა რომ არ სურდათ. ძალიან მძიმე სურათი იყო.

ალბანეთის ნაკრების თამაშით გაღიზიანებულთ ჭრილობაზე მარილი დაგვაყარა უკრაინელთა მწვრთნელ ოლეგ ბლოხინმა:

— დღეს ალბანეთმა უკრაინაზე გაცილებით კარგად ითამაშა. მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ არ გაუმართლათ, სამაგიეროდ კი, ღმერთმა ჩვენ გადმოგვხედა — თქვა ბლოხინმა.

ისე, ტირანაში უკრაინელთა გამარჯვება, ბევრის აზრით, ლოგიკური არ იყო. უფრო სამართლიანი ფრე იქნებოდა. მაგრამ რა გაეწყობა, სტუმრებმა ორი შემთხვევითი გოლი გაიტანეს და შინ სამი ქულაც გაიყოლეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 14 |
| საბერძნეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| დანია | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 6 |
| თურქეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ალბანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 6 |
| საქართველო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

**მომდევნო ტური**
**26 მარტი**

**საქართველო — საბერძნეთი**

**თურქეთი — ალბანეთი**

**დანია — ყაზახეთი**



ჩვენი ჯგუფის ლიდერი — უკრაინა

**საბერძნეთი 2:1 დანია**

1:0 ზაგორაკისი (25), 2:0 ბასინასი (32პ), 2:1 რომედალი (45)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი, კაცურანისი, ფისასი, ბასინასი, ზაგორაკისი (კირიაკოსი 46), იანაკოპულოსი, კარაგუნისი (კაფესი 61), ხარისტიასი, ვრიზასი (ამანატიდისი 83)

**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი

**დანია:** სორენსენი, პოულსენი, კროლდრუპი, ლუსტუ (პ. ნილსენი 65), მ. იენსენი (პ. მადსენი 70), პრისკუ, გრავესენი, დ. იენსენი, კ. პერესი (იორგენსენი 46), რომედალი, ტომასონი

**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი

**გაფრთხილება:** ლუსტუ, გრავესენი, კროლდრუპი, კაცურანისი, დელასი

**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

33 000 მაყურებელი

# რეჰაგელმა ცენტრი გათიშა და ტაბლოზე იბატონა

**ევროპის** ჩემპიონი საბერძნეთი შესარჩევი ჯგუფის ცხრილში მეორე ადგილზე წამოსკუპდა. დანიასთან მატჩამდე ბერძნები მე-5 ადგილზე იყვნენ და ერთი მოგებით კაიხელა ნახტომი გააკეთეს.

2:1 — ასე მოიგო ოტო რეჰაგელის გუნდმა, თუმც უცხოური მედიის ცნობით, მატჩის ლოგიკური ანგარიში ფრე იქნებოდა.

რეჰაგელმა 4-3-2-1 ტაქტიკური სქემით ათამაშა გუნდი და დანიელთა ძლევაში გადამწყვეტი სიტყვა ზაგორაკის-ბასინას-კარაგუნისის სამეულმა თქვა. სწორედ ამ ფეხბურთელთა წყალობით დაეპატრონა საბერძნეთი მოედნის ცენტრს და თანამედროვე ფეხბურთში ეს რასაც ნიშნავს, კარგად გეცოდინებათ.

მასპინძლებმა პირველი ტაიმის ექვსწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიხარეს — ჯერ კაპიტანმა თეო ზაგორაკისმა შეაგდო (25-ე წუთზე), მერე კი ანგელოს ბასინასმა გამოიყენა სტილიანოს იანაკოპულოსის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი.

ტაიმის მიწურულს დანიელებმა დენის რომედალის გოლით ერთი გაქვითეს და შესვენებაზეც უიმედოდ არ გასულან.

მეორე ნახევარი სტუმრებისა გამოდგა, ოღონდ ეგაა, ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს. იონ დალ ტომასონმა ორი ხელსაყრელი მომენტი გაანიავა, ბოლო წუთების შტურმისას კი რომედალს მოეცარა ხელი.

ერთი სიტყვით, ბერძნებმა უმძიმესი ბრძოლა მოიგეს და ლიდერ უკრაინას ამოუდგნენ ზურგსუკან.

**კახა შალამბერიძე**



თომას გრავესენის დანიამ გეორგიოს კარაგუნისის საბერძნეთთან წააგო

**ვიყიდი**

თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო პროგრამებს (1936-1973) და საერთაშორისო მატჩების ბილეთებსა და აფიშებს (1972-1987)

ტელ: 8 99 241266

# ამხანაგური მატჩები

## მთქნარება ვილა პარკზე

**ინგლისი 0:0 ჰოლანდია**

**ინგლისი:** რობინსონი, გ. ნევილი, კარაგერი, ბრაუნი, ე. კოული, ბექჰემი (დაიერი 81), ლამპარდი (ჰარგრივსი 46), ჯერარდი (ჯენასი 81), შ. რაიტ-ფილიპსი (დაუნინგი 61), ოუენი, რუნი (ენდრიუ ჯონსონი 61)

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, კრომკამპი, ბულარუზი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ლანძაატი, ჰეიტინგა (ვან ბომელი 62), ვან დერ ვაარტი, კასტელენი (ილდირიმი 63), მაკაი, კუიტი

**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

**40 705 მაყურებელი**

**ინგლისმა** და ჰოლანდიამ ულამაზო და უგოლო ფრე ითამაშეს ბირმინგემის „ვილა პარკზე".

ინგლისელთა სასტარტოში პირველად იყო შონ რაიტ-ფილიპსი და თვით მისმა იმპულსურმა და ლამაზმა თამაშმაც ვერ შეაწყვეტინა მთქნარება ბირმინგემელ მაყურებელს.

სვენ-გორან ერიკსონმა ექსპერიმენტები განაგრძო: თამაში 4-3-3-ით დაიწყო, თუმც რამდენად გაუმართლა, ძნელი სათქმელია. ამის მიუხედავად, მწვრთნელმა იქვა, რომ მისმა ჩანაფიქრმა პირველ ტაიმში კარგად იმუშავა. რაიტ-ფილიპსი, რუნისა და ოუენს შეუწყვილდა, ოღონდაც ჰარმონია არ შედგა.

თამაშის ყველაზე ნაღდი მომენტი ჰოლანდიელ დირკ კუიტს ჰქონდა, თუმც, ბურთი ძელს გაარტყა მაშინ, როცა მეკარე პოლ რობინსონი უღონოდ ეგდო.

ინგლისელთა რიგებში ორწლიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა უესლი ბრაუნი, იყვნენ ჯეიმი კარაგერი, სტიუარტ დაუნინგი (შეცვლაზე შევიდა) და კრისტალ პალასელი მეგოლე-დებიუტანტი ენდრიუ ჯონსონი.

ინგლისს ერთბაშად 6 ცენტრალური მცველი ჰყავდა დამტვრეული და ზემოთ ნახსენები პირველი ორის გამოჩენაც უფრო ამან გამოიწვია. თუმცა, ერიკსონი ამითაც კმაყოფილი დარჩა და თქვა, ახალწვეულებმა ღირსეულად ითამაშესო.

ეგებ მათ მართლაც კარგად ითამაშეს, მაგრამ „ვილა პარკზე" ფეხბურთი საერთოდ არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე აფეთქებებს და იშვიათ ნახევრადმომენტებს ორივე მხრიდან.

ერიკსონმა ბოლოს მაინც ღიმილით განაცხადა: „დღეს უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე მადრიდში ესპანელებთან. ეს ამხანაგური თამაშია და ჩვენ ჩვენი მიზნები გვქონდა".

**ირაკლი გამყრელიძე**



მასპინძელმა უესლი ბრაუნმა (№6) და სტუმარმა დირკ კუიტმა ერთმანეთს არაფერი დაუთმეს

## მაურინიუ აღარ ღელავს

### რად გინდა რობენი, როცა გყავს დაფი



დემიენ დაფმა (№11) პორტუგალიელთა დაცვა დაფლითა

REUTERS ფოტოები

**ირლანდია 1:0 პორტუგალია**

1:0 ობრაიენი (21)

**ირლანდია:** გივენი, ფინანი, ობრაიენი, კანინგემი (დანი 60), ოში, რიდი, ჰოლანდი, კილბეინი (კავანაფი 46), დაფი (მილერი 69), რობი კინი (მაკგიდი 83), მორისონი

**პორტუგალია:** რიკარდუ, პ. ფერეირა (უგო ვიანა 46), მ. კანეირა, ჟორჟე ანდრადე, მატიაში, სიმაო (ბოა მორტე 61), პეტიტი, დეკო (რიკარდუ კოშტა 46), ტიაგუ (მეირა 46), კ. რონალდო (მ. ფერნანდეში 70), პაულეტა (ნუნუ გომეში 46)

**მსაჯი:** მეტ მესიასი (ინგლისი)

**44 100 მაყურებელი**

**ენდი ობრაიენის** პირველმა სანაკრებო გოლმა თავის კარიერაში, ირლანდიას დამსახურებულად დაამარცხებინა პორტუგალია.

„ლენსდაუნ როუდის" ტრიბუნაზე იჯდა „ჩელსის" ბოსი ჟოზე მაურინიუ, რომლებსაც კელტი ჟურნალისტები ეხუმრნენ კიდეც, დემიენ დაფის შემხედვარემ, არიენ რობენის ტრავმაზე აღარ უნდა იღელვოო.

დაფი 50-ედ თამაშობდა მწვანე სამოსში და ნამდვილი სუპერშოუც მოაწყო. ირლანდიელთა მენეჯერი ბრაიან კერი აღტაცებას ვერ მალავდა: „ხანდახან დაფი სრულიად დიადია. ის დღეს ფიგუს, რონალდოს და ასეთ ხალხს არ ჩამოუვარდებოდა. თუმც, დღეს მთლიანად გუნდმა ივარგა, ყველა კარგი იყო".

ნიუკასლელმა ენდი ობრაიენმა თავურით გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი: ორთაბრძოლაში მაურინიუს კიდევ ერთ შეგირდს, პაულუ ფერეირას აჯობა.

თამაშის რთული მომენტი მაშინ დადგა, როცა დაფმა კრისტიანო რონალდო მოცელა და კინკლაობა ატყდა. თუმცა, მსაჯმა მეტ მესიასმა მკაცრად ჩააშოშმინა მოშულარნი, დაფი კი მალევე შეცვალეს.

საერთოდ, ამხანაგურის პირობაზე კარგა დაძაბული და ნამდვილი თამაში იყო. თუმცა, ირლანდიელებს მეტი მონდომება და ჯიგარი ეტყობოდათ და მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ. კერძოდ, იმავ დემიენ დაფს, რომელმაც ზღაპრულად გაიარა ორი მცველი, ოღონდ მეკარე რიკარდუმ მაინც აუღო.

პორტუგალიელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ კი თქვა: „ეს ის იყო, რასაც მოველოდი. ირლანდია ძლიერი გუნდია. ჩვენ რომ ანგარიში გაგვეხსნა, მოვიგებდით, პირიქით კი მოხდა".

**ირაკლი გამყრელიძე**

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

**I ჯგუფი**

**მაკედონია 0:0 ანდორა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| ფინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| ჩეხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| მაკედონია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| ანდორა | 5 | 1 | 1 | 3 | 2:11 | 4 |
| სომხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

მომდევნო ტური: 26 მარტი

სომხეთი — ანდორა

ჩეხეთი — ფინეთი

რუმინეთი — ჰოლანდია

**VII ჯგუფი**

**ესპანეთი 5:0 სან მარინო**

1:0 ხოაკინი (15), 2:0 ტორესი (33), 3:0 რაული (43), 4:0 გუტი (65), 5:0 დელ ორნო (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:0 | 10 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:1 | 8 |
| ლიტვა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| ბოსნია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0:18 | 0 |

მომდევნო ტური: 26 მარტი

ბელგია — ბოსნია

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია II საკვალიფიკაციო წრე. I ტური

**I ჯგუფი**

**უზბეკეთი 1:1 საუდის არაბეთი**

0:1 ალ ჯაბერი (76), 1:1 სოლიევი (90)

**სამხრეთ კორეა 2:0 ქუვეითი**

1:0 დ. ლი (24), 2:0 ი. ლი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ. კორეა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| საუდის არაბეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| უზბეკეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ქუვეითი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

მომდევნო ტური: 25 მარტი

საუდის არაბეთი — სამხ. კორეა

ქუვეითი — უზბეკეთი

**II ჯგუფი**

**იაპონია 2:1 ჩრდილოეთ კორეა**

1:0 ოგასავარა (4), 1:1 ნამი (61), 2:1 ოგურო (90)

**ბაჰრეინი 0:0 ირანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ირანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბაჰრეინი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჩრდ. კორეა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

მომდევნო ტური: 25 მარტი

ჩრდ. კორეა — ბაჰრეინი

ირანი — იაპონია

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი II საკვალიფიკაციო წრე

**ტრინიდადი და ტობაგო 1:2 აშშ**

0:1 ედი ჯონსონი (30), 0:2 ლუისი (54), 1:2 ევე (89)

**კოსტა რიკა 1:2 მექსიკა**

0:1, 0:2 ლოზანო (8, 9), 1:2 ვანჩოპე (38)

**პანამა 0:0 გვატემალა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| აშშ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| გვატემალა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პანამა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კოსტა რიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

მომდევნო ტური: 27 მარტი

კოსტა რიკა — პანამა; გვატემალა — ტრინიდადი და ტობაგო; მექსიკა — აშშ

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა V ჯგუფი. V ტური

**მაროკო 5:1 კენია**

1:0, 2:0 ზაირი (12, 39), 3:0 დიანე (46), 4:0 ი. ჰაჯი (81), 5:0 ზაირი (90), 5:1 ოტიენო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| გვინეა | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| კენია | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 6 |
| ბოტსვანა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | 6 |
| ტუნისი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 5 |
| მალავი | 5 | 0 | 3 | 2 | 6:9 | 3 |

მომდევნო ტური: 26 მარტი

მაროკო — გვინეა; კენია — ბოტსვანა; ტუნისი — მალავი

# ამხანაგური მატჩები

## ტრეზეგე პლატინის მისდევს
## დორასოც მშვენიერია



დავიდ ტრეზეგემ მეკარე ანდრეას ისაკსონს აუღებელი დაურტყა

**საფრანგეთი 1:1 შვედეთი**

**0:1 ლიუნგბერგი (11), 1:1 ტრეზეგე (36)**
**საფრანგეთი:** კუპე, ძებინა (აბიდალი 68), სკილაჩი, გივე, გალასი, ვიეირა, პედრეტი, ჟიული (მერიემი 68), დორასო, ანრი, ტრეზეგე
**შვედეთი:** ისაკსონი, ოსტლუნდი, ლუკიჩი (ჰანსონი 76), ედმანი, მელბერგი, ლინდეროტი (დ. ანდერსონი 76), ა. სვენსონი, ვილჰელმსონი (ა. ანდერსონი 86), ლიუნგბერგი (ალექსანდერსონი 46), ოლბოკი (კალსტრიომი 63), როზენბერგი
**მსაჯი:** ხულიან როდრიგეს სანტიაგო (ესპანეთი)
**56 923 მაყურებელი**

**საფრანგეთის** ნაკრებმა ზედიზედ მეხუთე საშინაო მატჩი დაასრულა ფრედ. „მამლებმა" ამჯერად შვედეთის ბარიერი ვერ გადალახეს, თუმც მასპინძლების თამაშს საგრძნობი გაუმჯობესება ემჩნეოდა. ისინი მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას.

მატჩის დაწყებისთანავე ფრანგები თამამად გადავიდნენ შეტევაზე და პირველ ათ წუთში რამდენიმე შანსიც გაანიავეს. მე-11 წუთზე კი სტუმრების პირველივე სახიფათო იერიში გოლით დასრულდა. მარკუს ოლბოკის დაახლოებით 15 მეტრიდან დარტყმული ბურთი გრეგორი კუპემ არცთუ ისე კარგად მოიგერია, ხოლო დამატებაზე ყველას ფრედერიკ ლიუნგბერგმა დაასწრო.

მასპინძლებს ტემპი გაშვებული გოლის მიუხედავად არ დუგდიათ და პირველივე ტაიმში არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს, თუმც წარმატებას მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს: 36-ე წუთზე ტიერი ანრის ჩაწოდებულ ბურთს დავიდ ტრეზეგემ თავი დაუხვედრა და ანდრეას ისაკსონი უშანსოდ დატოვა.

ეს ტრეზეგეს 30-ე სანაკრებო გოლი იყო. ამ მაჩვენებლით „იუვენტუსის" ფორვარდმა უკვე გაუსწრო ლეგენდარულ ჟიუსტ ფონტენსა და ჟან-პიერ პაპენს. ახლა ტრეზეგეს წინ მხოლოდ მიშელ პლატინია, რომლის ანგარიშზეც 41 ბურთია.

საკმაოდ ლამაზი პირველი ტაიმის შემდეგ გუნდებმა შედარებით ინერტულად იბურთავეს, თუმც მასპინძელთა ქომაგებს მოწყენის საფუძველი არც მეორე ნახევარში ჰქონდათ. ფრანგები მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ყველაზე რეალური შანსი ტიერი ანრის ჰქონდა. ამ უკანასკნელმა ერთხელ გოლიც კი გაიტანა, მაგრამ გაუუქმეს.

უქმად არც სტუმრები ყოფილან. ორჯერ მათ ძალიან სახიფთო იერიშიც განახორციელეს, მაგრამ კუპემ თავისი გუნდი ორჯერვე იხსნა.

აღსანიშნავია, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ზიდანის ანუ პლეიმეიკერის ფუნქციას ვიკაშ დორასო ასრულებდა. „მილანის" ნახევარმცველმა მოვალეობას თავი საკმაოდ კარგად გაართვა. მან რამდენიმე მწვავე პასიც გააკეთა და მთლიანობაში მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ეს არც ფრანგთა თავკაც რაიმონ დომენეკს გამორჩენია, რომელმაც განაცხადა — არ მინდა, კონკრეტულად ვინმე გამოვარჩიო, მაგრამ დორასოს ნაჯაფს ვერ დავუკარგავო.

„გუნდს აშკარად წინსვლა ემჩნევა. მართალია, ვერ მოვიგეთ, მაგრამ თამაშის ხარისხი გავაუმჯობესეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, გულშემატკივრებიც კმაყოფილნი დარჩნენ" — თქვა „ლურჯების" კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ.

დომენეკმა კი დასძინა: „შვედების ძალა ყველასთვის ცნობილია. მათ ამჯერადაც ძალიან კარგად ითამაშეს, თუმც ჩემი გუნდით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. პირველი ტაიმი ჩინებულად ჩავატარეთ, ხოლო მეორეში ცოტა დალლა დაგვეტყო.".

**გიორგი ძაძაბაძე**

## თავის ტკივილი
## ლიპის ჯილა — ჯილარდინო

**იტალია 2:0 რუსეთი**

**1:0 ჯილარდინო (56), 2:0 ბარონე (62)**
**იტალია:** ბუფონი, ბონერა, ფ. კანავარო, მატერაცი, პანკარო (კიელინი 69), გატუზო, პირლო (ბლაზი 51), დე როსი (ბარონე 46), ტოტი (ლანზელა 46), ვიერი (ჯილარდინო 46), მონტელა (ესპოზიტო 46)
**რუსეთი:** მალაფეევი, ანიუკოვი, ბუგაევი, სენიკოვი, ევსეევი, იზმაილოვი (ბოიარინცევი 67; კოლოდინი 78), ხოხლოვი, ლოსკოვი, ჟირკოვი, სიჩოვი, კერჟაკოვი (კარიაკა 46)
**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
**15 700 მაყურებელი**

**რუსეთის** ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში იტალიის ნაკრების თავკაცმა მარჩელო ლიპიმ ახალი (4-3-3) სქემაც შეამოწმა, ფეხბურთელებიც და როგორც მატჩის შემდეგ განაცხადა, ექსპერიმენტით კმაყოფილიც დარჩა.

მწვრთნელის განსაკუთრებული მოწონება თავდამსხმელთა სამეულმა — ფრანჩესკო ტოტი, კრისტიან ვიერი, ვინჩენცო მონტელა — გამოიწვია. ბუნებრივია, ტაქტიკოსი ცალ-ცალკე ამ ფეხბურთელების თამაშს ზედმიწევნით იცნობდა, მაგრამ რუსებთან მატჩის მსვლელობისას მან დაინახა, რომ ისინი ტრიოდაც ჩინებულად მოქმედებენ.

„ვვარაუდობდი, რომ თავდამსხმელთა ეს ტრიო ძალიან სახიფათო მომენტებს შექმნიდა მოწინააღმდეგის კართან და საბედნიეროდ, მართლაც ასე მოხდა. უბრალოდ, შრომა, რომელიც ბიჭებმა გასწიეს, მეორე ტაიმში დაფასდა — თქვა ლიპიმ — მინდა აქვე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის შემადგენლობა, რომელიც პირველ ტაიმში ვათამაშე, მეორე ტაიმის შემადგენლობაზე ცუდი ნამდვილად არ ყოფილა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ პირველი ტაიმის გუნდს რუსების მეკარემ რამდენიმე ბურთი აუღო, ხოლო ვიერიმ და ანდრეა პირლომ ძელს გაარტყეს".

როგორც ჩანს, უკვე შემოწმებულ 4-3-3 სისტემას მარჩელო ლიპი 20 მარტს, „სან სიროზე" შოტლანდიის ნაკრებთან შესარჩევ და ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრაშიც გამოიყენებს.

„დღევანდელმა თამაშმაც მაჩვენა, რომ ეს სისტემა დაცვაში გარკვეულ ეჭვებს ტოვებს, მაგრამ ამ ეჭვის ატანა და რისკზე წასვლა აშკარად ღირს. ექსპერიმენტებს მომავალშიც განვაგრძობ. ასე, რომ გადაწყვეტილიც ჯერ არაფერია" — დასძინა ლიპიმ.

რუსეთთან შეხვედრაში ყველაზე მეტად ყურადღება ალბერტო ჯილარდინომ, სიმონე ბარონემ, მაურო ესპოზიტომ და დებიუტანტმა ანტონიო ლანგელამ მიიპყრეს.

„ჩვენ საკუთარ თავს კიდევ ერთხელ დავუმტკიცეთ, რომ იტალიაში ძალიან ბევრი დიდებული ახალგაზრდაა" — გაიღიმა ლიპიმ, რომელმაც ჯილარდინო მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა და პარმელმაც ბრწყინვალე დარტყმით გახსნა ანგარიში.

„ძალიან მიხარია, გოლი რომ გავიტანე და გავიმარჯვეთ — ეს უკვე ალბერტო ჯილარდინოს სიტყვებია — ყველამ იცის, რომ მონტელა, ტოტი და ვიერი დიდი ფეხბურთელები არიან. ეს ეჭვგარეშეა, ხოლო ჩვენ, ის მოთამაშეები, რომლებიც მეორე ტაიმში შევედით მინდორზე, ორმაგად მონდომებულები ვიყავით და ამიტომაც გამოვიდა მატჩი თავიდან ბოლომდე გაწონასწორებული. ჩემი სურვილია, ნაკრების ყოველი მატჩის წინ ჩინებულ ფორმაში ვიყო და მწვრთნელს შემადგენლობის ასარჩევად თავი ავატკიო".

ფანტასტიკური გოლი შეაგდო სიმონე ბარონემაც. ისიც, ჯილარდინოს მსგავსად მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე.

„სივრცე დავინახე, პირველი შეხებითაც კარგად მივიღე ბურთი და ალბათ, ჩინებული გოლიც გავიტანე. ეს ჩემი კარიერის დაუვიწყარი დღეა, რომელსაც მთელ იტალიასა და ჩემს ოჯახს ვუძღვნი" — განაცხადა ბარონემ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ლიპიმ არ გამოიძახა ბარონეს პალერმოელი თანაგუნდელი ლუკა ტონი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „სკუადრა აძურას" მარქაფში ალესანდრო დელ პიერო, ანტონიო კასანო, ფილიპო ინძაგი, ბერნარდო კორადი, მარკო დი ვაიო და ფაბრიციო მიკოლიც ეგულება, შეიძლება ითქვას, რომ მარჩელო ლიპის თავისტკივილი ნამდვილად არ მოაკლდება.

**ბაჩუნა ძედია**



ალბერტო ჯილარდინომ რუსებს ბრწყინვალე გოლი გაუტანა




კალიარიში, იტალია — რუსეთის მატჩის დაწყებამდე დიდად დააფასეს ლეგენდარული ჯიჯი რივა, „სკუადრა აძურასა" და პატარა „კალიარის" ოდინდელი ვარსკვლავი. რივას „სტადიო ელიაზე" სამუდამო მფლობელობაში გადასცეს 11-ნომრიანი მაისურა, რაც იმას ნიშნავს, რომ „კალიარიში" ამიერიდან ამ ნომრით არავინ ითამაშებს.

# ამხანაგური მატჩები

## საწყენია, გერმანია ისევ უმცროსკლასელია



REUTERS ფოტო

კევინ კურანის (№22) გაბრიელ მილიტომ ვერ დაუფარა

**გერმანია 2:2 არგენტინა**

1:0 ფრინგსი (28პ), 1:1 კრესპო (40პ), 2:1 კურანი (45), 2:2 კრესპო (81)

**გერმანია:** ლემანი, ოვომოიელა, მერტესაკერი, ვიორნსი, ჰიცლშპერგერი, შნაიდერი, ფრინგსი, ერნსტი, შვაინსტაიგერი (შულცი 74), კურანი, ასამოა (ფრაიერი 29)

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ძანეტი, ბურდისო, გ. მილიტო (კამბიასო 46), ჰაინცე, სკალონი (მ. როდრიგესი 46), დუშერი (გალეტი 77), სორინი, რიკელმე, კრესპო, სავიოლა

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

52 000 მაყურებელი

**ბუნდესნაკრებმა** კვლავ ვერ დაამარცხა ეგრეთწოდებული ტოპკლასის მეტოქე, რასაც აგერ უკვე 2001 წლის მერე ვერ ახერხებს.

იურგენ კლინსმანის გუნდი დიუსელდორფში ორჯერ უგებდა არგენტინას, მაგრამ „მილანის" თავდამსხმელმა, ერნან კრესპომ ორჯერვე გაუთანაბრა მასპინძლებს.

შეხვედრა გერმანელთა იერიშებით დაიწყო, მათ სამხრეთამერიკელებს თავიდანვე პრესინგი შესთავაზეს და ტრიბუნაზე შეკრებილ ქომაგთა გულის გასახარად პირველ 15 წუთში ბევრი სახიფათო მომენტიც შექმნეს. განსაკუთრებით გამორჩეული კი ტორსტენ ფრინგსის შორეული დარტყმა იყო — რომელმაც 25 მეტრიდან გაისროლა, თუმცა, ბურთი მიზანს მცირედით ასცდა.

ანგარიში 28-ე წუთზე პენალტით გაიხსნა: არგენტინელთა საჯარიმოში კევინ კურანი წააქციეს, სტეფანო ფარინამ წესის დარღვევა დააფიქსირა და ფრინგსმაც აულელვებლად შეაგდო — 1:0. წუთში კი ჯერალდ ასამოა დაშავდა და შესაცვლელიც შეიქნა.

ტაიმის მიწურულს ფარინამ კიდევ ერთი პენალტი დადო, ამჯერად მასპინძელთა კარში და კრესპომაც იენს ლემანს გაუტანა. თუმცა, შესვენებაზე გერმანია მაინც თავაწეული გავიდა — ბასტიან შვაინსტაიგერის ჩინებულ პასს კურანი გამოეხმაურა.

მეორე ტაიმში სტუმრები გამოცოცხლდნენ, უფრო მეტადაც უტევდნენ, რისი დასტურიც კრესპოს გამთანაბრებელი გოლია — 81-ე წუთზე „მილანის" ლეგიონერმა ლემანს დაასწრო.

„საწყენია, მეორე ტაიმში უპირატესობა რომ ვერ შევინარჩუნეთ. ბიჭებმა თავგამოდებით იბრძოლეს, მაგრამ გარკვეული შეცდომების გამო დავისაჯეთ" — თქვა გულნატკენმა იურგენ კლინსმანმა პრესკონფერენციაზე.

**ლადო ხომერიკი**

# რამ გაახარა პარეირა?

**ჰონკონგი 1:7 ბრაზილია**

0:1 ლუსიო (20), 0:2 რობერტო კარლოსი (30), 0:3 რ. ოლივეირა (45), 0:4 რონალდინიო (50), 0:5 რ. ოლივეირა (57), 0:6 რობინიო (78), 0:7 ალექსი (80პ), 1:7 სე-მინგი (86)

**ბრაზილიის** ნაკრებმა წელიწადი მეტად ეფექტურად დაიწყო. აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ ანგარიშს, რაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა და ჰონკონგელთა ამხანაგური შეხვედრის ომქში წერია?

ბრაზილიელებმა ნამდვილი ფესტივალი მოაწყვეს. სტადიონზე მისული ხალხიც საფესტივალოდ იყო განწყობილი — ჩინური კალენდრით, ოთხშაბათს, 9 თებერვალს, ახალი წლის პირველი დღე იდგა.

მსოფლიოს ჩემპიონებს აკლდათ რონალდო, რომელიც „რეალმა" არ გაუშვა ჰონკონგში. ალბათ, დიდად არც პენტაკამპეონებმა დაიჯინეს, გინდა, თუ არა, „კიჭა" მსოფლიოს 134-ე გუნდთან ვათამაშოთო, რადგან მიიჩნიეს, რომ იგი მარტში პერუსთან ოფიციალური შეხვედრისთვის იქნება საჭირო.



REUTERS ფოტო

ბრაზილიელთა შვიდი გოლიდან რონალდინიომ ერთი შეაგდო

ჰონკონგელთა კარში ორი გოლი გაიტანა რიკარდუ ოლივეირამ, ხოლო თითო შეაგდეს ლუსიომ, რობინიომ, რონალდინიომ, რობერტო კარლოსმა და შეცვლაზე შესულმა ალექსმა

„ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთელებმა თავდადებით ითამაშეს — განაცხადა მატჩის შემდეგ ბრაზილიელთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ — მართალია ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და ტექნიკური თვალსაზრისით ჰონკონგელებზე შეუდარებლად მაღლაც ვდგავართ, მაგრამ წარმატების მისაღწევად რაგინდარა შეხვედრაში თავდადებაა საჭირო. დღეს სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი".

პირველი ტაიმის შემდეგ ბრაზილიელები 3:0-ს იგებდნენ. პარეირამ მეორეში აღარ ათამაშა რობერტო კარლოსი, კაპიტანი კაფუ და 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რონალდინიო.

პარეირამ დასძინა: „ეს ვარჯიში იყო. საერთოდ, სასურველი მოთამაშეების ერთად შეკრება ძალიან ძნელია და ასეთ შესაძლებლობას ხელიდან ნამდვილად ვერ გავუშვებდით. ჰონკონგში გუნდური თამაში დავამუშავეთ".

**პაპუნა ბედია**

**ბულგარეთი 0:0 სერბეთი**

**აზერბაიჯანი 0:0 მოლდოვა**

**საამიროები 1:2 შვეიცარია**

0:1 გიგაქსი (9), 1:1 მატარი (21), 1:2 პ. მიულერი (80)

**სლოვენია 0:3 ჩეხეთი**

0:1 კოლერი (10), 0:2 იუნი (47), 0:3 პოლაკი (79)

**ისრაელი 3:3 ხორვატია**

0:1 კლასნიჩი (15), 1:1 ბალილი (38), 1:2 სრნა (55პ), 2:2 ბენაიუნი (74), 2:3 კლასნიჩი (78), 3:3 გოლანი (84)

**მალტა 0:3 ნორვეგია**

0:1, 0:2 რუშფელდტი (70, 79), 0:3 რიისე (80)

**კვიპროსი 1:2 ფინეთი**

1:0 მიხაელი (24), 1:1, 1:2 პოიჰა (66, 70)

**სამხრეთ აფრიკა 1:1 ავსტრალია**

1:0 მაკკარტი (12), 1:1 ჩიპერფილდი (71)

**კამერუნი 1:0 სენეგალი**

| 11142 | ნუმანსია-მალაგა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11143 | ოსასუნა-რეალი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11144 | რასინგი-სოსიედადი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11145 | სევილია-ვილიარეალი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ევერტონი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13006 | სიტი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.9 | 1.7 |
| 13075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.6 | 2.1 |
| 13076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.6 | 2.1 |
| 13077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.6 | 2.1 |
| 13078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.6 | 2.1 |
| 13079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.6 | 2.1 |
| 13080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.6 | 2.1 |
| 13081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.6 | 2.1 |
| 13082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13083 | არმინია-ბაიერნი | 1.6 | 2.1 |
| 13094 | ლაციო-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13095 | ინტერი-რომა | 1.5 | 2.2 |
| 13096 | ლივორნო-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13098 | ბრეშა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13099 | ლეჩე-კიევო | 1.5 | 2.2 |
| 13100 | სიენა-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13101 | ბოლონია-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13102 | ფიორენტინა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13103 | რეჯინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13137 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.6 | 2.0 |
| 13138 | ბილბაო-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13142 | ნუმანსია-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13143 | ოსასუნა-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13144 | რასინგი-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 13145 | სევილია-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ევერტონი-ჩელსი | 2.3 | 1.65 |
| 14002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14004 | ბირმინგემი-ლივერპული | 2.1 | 1.75 |
| 14005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.75 | 2.1 |
| 14006 | სიტი-მანჩესტერი | 2.3 | 1.65 |
| 14007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.05 | 2.9 |
| 14075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.45 | 2.4 |
| 14076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.45 | 2.4 |
| 14077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.8 | 2.0 |
| 14078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.3 | 2.5 |
| 14079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.45 | 2.4 |
| 14080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 14081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.45 | 2.4 |
| 14082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.2 | 2.6 |
| 14083 | არმინია-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14094 | ლაციო-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14095 | ინტერი-რომა | 1.65 | 2.3 |
| 14096 | ლივორნო-სამპდორია | 1.9 | 1.9 |
| 14097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.3 | 2.5 |
| 14098 | ბრეშა-კალიარი | 1.8 | 2.0 |
| 14099 | ლეჩე-კიევო | 1.75 | 2.1 |
| 14100 | სიენა-მესინა | 1.75 | 2.1 |
| 14101 | ბოლონია-პალერმო | 1.8 | 2.0 |
| 14102 | ფიორენტინა-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14103 | რეჯინა-მილანი | 2.4 | 1.45 |
| 14136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.7 | 2.2 |
| 14137 | სარაგოსა-ბარსელონა | 2.3 | 1.6 |
| 14138 | ბილბაო-ბეტისი | 1.7 | 2.2 |
| 14139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.45 | 2.4 |
| 14140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.65 | 2.3 |
| 14141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.45 | 2.4 |
| 14142 | ნუმანსია-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 14143 | ოსასუნა-რეალი | 2.3 | 1.65 |
| 14144 | რასინგი-სოსიედადი | 1.8 | 2.0 |
| 14145 | სევილია-ვილიარეალი | 1.8 | 2.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ევერტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | სიტი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15078 | შალკე-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ლევერკუზენი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | არმინია-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15094 | ლაციო-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15095 | ინტერი-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | ლივორნო-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15097 | იუვენტუსი-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | ბრეშა-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | ლეჩე-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15100 | სიენა-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | ბოლონია-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | ფიორენტინა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | რეჯინა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15136 | მალიორკა-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15137 | სარაგოსა-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15138 | ბილბაო-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15140 | ვალენსია-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15141 | ატლეტიკო-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15142 | ნუმანსია-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15143 | ოსასუნა-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15144 | რასინგი-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15145 | სევილია-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ევერტონი-ჩელსი | 1.6 | 2.0 |
| 12002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.6 | 2.0 |
| 12004 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12006 | სიტი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 2.2 | 1.5 |
| 12075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 2.1 | 1.6 |
| 12076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 2.1 | 1.6 |
| 12077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.1 | 1.6 |
| 12078 | შალკე-ვოლფსბურგი | 2.2 | 1.55 |
| 12079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 2.1 | 1.6 |
| 12080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.9 | 1.7 |
| 12081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2.1 | 1.6 |
| 12082 | ლევერკუზენი-მაინცი | 2.3 | 1.4 |
| 12083 | არმინია-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12094 | ლაციო-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12095 | ინტერი-რომა | 2.2 | 1.5 |
| 12096 | ლივორნო-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 12097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12098 | ბრეშა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12099 | ლეჩე-კიევო | 2.0 | 1.6 |
| 12100 | სიენა-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 12101 | ბოლონია-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12102 | ფიორენტინა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12103 | რეჯინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.6 | 2.0 |
| 12137 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.9 | 1.7 |
| 12138 | ბილბაო-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 12142 | ნუმანსია-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12143 | ოსასუნა-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 12144 | რასინგი-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 12145 | სევილია-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ევერტონი-ჩელსი | 2.6 | 1.3 |
| 16002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.5 | 2.0 |
| 16003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.3 | 2.65 |
| 16004 | ბირმინგემი-ლივერპული | 2.0 | 1.5 |
| 16005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.5 | 2.0 |
| 16006 | სიტი-მანჩესტერი | 2.6 | 1.3 |
| 16007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.02 | 6.5 |
| 16075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.2 | 3.1 |
| 16076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.2 | 3.1 |
| 16077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.5 | 2.0 |
| 16078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.15 | 3.5 |
| 16079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.2 | 3.1 |
| 16080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.6 | 1.9 |
| 16081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.2 | 3.4 |
| 16082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.05 | 5.1 |
| 16083 | არმინია-ბაიერნი | 3.1 | 1.2 |
| 16094 | ლაციო-ატალანტა | 1.15 | 3.4 |
| 16095 | ინტერი-რომა | 1.25 | 2.7 |
| 16096 | ლივორნო-სამპდორია | 1.8 | 1.75 |
| 16097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.12 | 3.5 |
| 16098 | ბრეშა-კალიარი | 1.5 | 2.1 |
| 16099 | ლეჩე-კიევო | 1.45 | 2.2 |
| 16100 | სიენა-მესინა | 1.45 | 2.2 |
| 16101 | ბოლონია-პალერმო | 1.5 | 2.1 |
| 16102 | ფიორენტინა-პარმა | 1.4 | 2.3 |
| 16103 | რეჯინა-მილანი | 2.8 | 1.25 |
| 16136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.3 | 2.6 |
| 16137 | სარაგოსა-ბარსელონა | 2.6 | 1.3 |
| 16138 | ბილბაო-ბეტისი | 1.35 | 2.3 |
| 16139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.2 | 3.2 |
| 16140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.25 | 2.8 |
| 16141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.2 | 3.4 |
| 16142 | ნუმანსია-მალაგა | 1.6 | 2.0 |
| 16143 | ოსასუნა-რეალი | 2.5 | 1.25 |
| 16144 | რასინგი-სოსიედადი | 1.5 | 2.0 |
| 16145 | სევილია-ვილიარეალი | 1.45 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | ევერტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17006 | სიტი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | არსენალი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.9 | 1.9 |
| 17083 | არმინია-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ლაციო-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ინტერი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | ლივორნო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17097 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ბრეშა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ლეჩე-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17100 | სიენა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ბოლონია-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ფიორენტინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17103 | რეჯინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | მალიორკა-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17137 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17138 | ბილბაო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17140 | ვალენსია-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ნუმანსია-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ოსასუნა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | რასინგი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | სევილია-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |



ბერძენ-რომაელები ბეგი დარჩიას დაბრუნებას ითხოვენ

# უკან დაგვრჩება ბაკურიანი

## საქმეში პრეზიდიუმი ჩაერევა

*ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აგორებულ სკანდალს საცაა, ერთი კვირა შეუსრულდება. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გადაწყვეტილებამ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას გათავისუფლებისა და მის ადგილზე კობა ჭიჭეიშვილის დანიშვნის შესახებ ნაკრების წევრები ისე გაალიზიანა, უკვე დაგეგმილ ბაკურიანულ შეკრებაზე ზედ გამგზავრების დღეს თქვეს უარი. მას შემდეგ გაურკვევლობის დასრულებას ყოველდღე ველით, მაგრამ არა და არ დაადგა საშველი.*

**გაფიცული** საქართველოს ნაკრები კი მთელი კვირაა, ვაკეში, ფალავანთა კლუბში, ბეგი დარჩიას მეთვალყურეობით ვარჯიშობს და მისთვის ოფიციალური სტატუსის დაბრუნებამდე არსად წასვლას არ აპირებს.

შუა კვირაში ჭიდაობის ფედერაციის პრესცენტრიდან გვაცნობეს, ფედერაციის გადაწყვეტილებით ახალი მწვრთნელი, ჭიჭეიშვილი თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით, ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე, 17 აპრილამდე დარჩება. ნაკრებშივე იმუშავებს დარჩიაც, ოღონდ მას ამიერიდან წამყვანი სპეციალისტი ერქმევაო. ჩვენდა გასაკვირად, ეს ინფორმაცია გაფიცულებმა ჩვენივე წერილიდან შეიტყვეს. „ოფიციალურადაც რომ მოემართათ და ეს წინადადება შემოეთავაზებინათ, მაინც არ დავთანხმდებოდით — გვითხრა გუშინწინ მსოფლიოს ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ — არავითარი წამყვანი სპეციალისტი, ბეგი დარჩია მთავარ მწვრთნელად უნდა დარჩეს. იგი განთავისუფლებას არანაირად არ იმსახურებს.“

გუშინწინვე, როგორც იქნა, დარჩიას მომხრე-მოწინააღმდეგეები სალაპარაკოდ შეიკრიბნენ. შეხვედრა პარლამენტში შედგა ქართული სპორტის შეფებისა და რამდენიმე პარლამენტარის თანდასწრებით და პირველი ერთობლივი გადაწყვეტილებაც გამოდნა.

დღეს თორმეტ საათზე სპორტის დეპარტამენტში პრეზიდიუმი შეიკრიბება და სწორედ ამ სხდომაზე გაირკვევა, შეცვლის თუ არა ფედერაცია გადაწყვეტილებას, დააბრუნებს თუ არა თანამდებობაზე ძველ მწვრთნელს. პრეზიდიუმის სხდომის შესახებ ინფორმაცია გუშინ ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმაც დაგვიდასტურა.

მთაში სავარჯიშო კვირა კი ამასობაში ბარში ვარჯიშებში გაილევა.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# ფერარისას დავეჭიდებით

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**2003 წელს** • წარმატებული მეოთხე გუნდური ადგილის მერე შასიან-ბორბლებიანად ფრანგულმა საჯინიბომ შარშან განსაცვიფრებლად მეტიც შეძლო — კონსტრუქტორთა თასზე ზესაპატიო მესამე საფეხური დაიკავა, თანაც ისეთი ბობოლები ჩამოიტოვა, როგორებიცაა „BMW-უილიამსი“ და „მაკლარენ-მერსედესი“.

ეს კი არა, რენოელები სეზონის გასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე მყარად იდგნენ მეორე პოზიციაზე, მაგრამ მერე უპოდიუმოდ დარჩნენ და ვიცე-ჩემპიონობა „ბარ-ჰონდას“ გადააბარეს.

მიუხედავად ამისა, ფრანგთა იტალიელი ბოსი ფლავიო ბრიატორე და მისი გუნდი ამბიციას არ მალავს — ახალი მანქანით საჩემპიონო ბრძოლას აპირებენ. შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად უკვე ყოველ რბოლაში მხოლოდ პოდიუმისთვის კი არა, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და გვჯერა, კონსტრუქტორთა თასის მოგებაც შეგვიძლიაო. აქვე ისიცაა სათქმელი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანს უწევს თუ არა, 55 წლის ბრიატორე წასვლას აპირებს — მეყო, დავიღალე, 16 წელი ფორმულა 1-ში საკმაოზე მეტია და დროა, დასვენებაზეც ვიფიქროო.

მიზნის მიმღწევებად კი სიცილიელი შეფი ესპანელ ფერნანდო ალონსოს და გუნდში ახლახან გადასულ თანამემამულე ჯანკარლო ფიზიკელას თვლის, ისეთი მაგარი ბიჭები არიან, მიზანს უეჭველად მიაღწევენო. მოკრძალებულ ნანდოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ „ფიზიკო“ რომ ძალიან დიდ გულზეა, არც მალავს — უახლოეს ხანში „ფერარის“ დომინირებას ბოლო მოეღება, ჩვენც და „მაკლარენიც“ მზად ვართ, მათ ტიტული წავართვათო.

რაც შეეხება უმთავრეს ტექსიახლეებს, შეცვლილი რეგლამენტის შესაბამისად გაორმაგდა ძრავის გამძლეობის რესურსი და მიუხედავად იმისა, რომ ამას ბუნებრივი კონსტრუქციული ძვრები მოჰყვა, „რენოს“ მთავარ ტექნიკოს ბობი ბელის განცხადებით, ახალი მოტორი არ დასუსტებულა. თუმც ბევრი რამ შეიცვალა — დაიწია ძრავის სიმძიმის ცენტრმაც და საკმაოდაც დამსუბუქდა, მაგრამ, რაც მთავარია, რკინის გულს ჯანიანობა არ მოჰკლებია.

**გია ახალაძე**

## რენო

**MILD SEVEN RENAULT F1 TEAM**

ფორმულა 1-შია 1977 წლიდან
(1977-85 და 2002-05)
174 რბოლა, 17 მოგება, 52 პოდიუმი, 36 პოული,
19 უსწრაფესი წრე, 528 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი
მეორე ადგილი (1983)
2004 წელს მესამე ადგილი (105 ქულა)
პილოტთა საუკეთესო შედეგი მეორე ადგილი (ალენ პროსტი, 1983)
პრეზიდენტი **პატრიკ ფიური**
აღმასრულებელი დირექტორი **ფლავიო ბრიატორე**
ტექნიკური დირექტორი **ბობ ბელი**
ბოლიდი **„რენო R25“**
ძრავა **„რენო RS25“ (V10)**
საბურავები **„მიშლენ პილოტი“**




**ფერნანდო ალონსო**

**ესპანეთი**
დაიბადა 1981 წლის
29 ივლისს ოვიედოში
ცხოვრობს ოვიედოსა და
ოქსფორდში (ინგლისი)
უცოლო
სიმაღლე 171, წონა 67 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება: უნგრეთის
დიდი პრიზი (2003)
51 რბოლა, 1 მოგება, 3 პოული,
1 უსწრაფესი წრე, 114 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი
მეოთხე ადგილი (59 ქულა, 2004)
გუნდები: „მინარდი“ (2001)
„რენოშია“ 2003 წლიდან




**ჯანკარლო ფიზიკელა**

**იტალია**
დაიბადა 1973 წლის
14 იანვარს რომში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლშვილიანი
სიმაღლე 172, წონა 64 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)
პირველი გამარჯვება: ბრაზილიის
დიდი პრიზი (2003)
141 რბოლა, 1 მოგება, 1 პოული,
1 უსწრაფესი წრე, 116 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი
მეექვსე ადგილი (2000)
2004 წელს XI ადგილი (22 ქულა)
გუნდები: „მინარდი“ (1996),
„ჯორდანი“ (1997, 2002, 2003),
„ბენეტონი“ (1998-2001) „ზაუბერი“ (2004)
„რენოშია“ 2005 წლიდან




ფლავიო ბრიატორეს ბოლიდებს წლეულს „ძველი“ ალონსო (მარცხნივ) და „ახალი“ ფიზიკელა გააჭენებენ

მსოფლიოს ჩემპიონატი. ბორმიო-სანტა კატერინა. 29 იანვარი-12 თებერვალი




REUTERS ბორმიოდან




ჰერმან მაიერის წილ ოქროებს ამერიკელი ბოდე მილერი იხვევს

# ავსტრიას უკვე ბოდე აბოდებს

*სამთო თხილამურობის წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს იტალიური ალპისპირეთი მასპინძლობს. კაცები ბორმიოში შეკრებილან, ქალები — სანტა კატერინაში და 29 იანვრიდან მოყოლებული ლომბარდიულ ფერდობებს ზურგზე თოვლის მტვერს ადენენ. მასპინძელი იტალიელებისგან მედლების ფანტელს არავინ ელოდება, ისინი ხანდახან ახერხებენ პოდიუმზე სხვათა გვერდით გამოჩენას, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, ამ სხვებში სულ უფრო და უფრო ნაკლებად ურევიან მთის რისხვა ავსტრიელები. გამოჩნდა ჯეელი, რომელმაც მსოფლიოს სამთო თხილამურობის რუკაზე სხვა ბევრ სახეობაში პირველობის დამჩემებელი, მაგრამ თხილამურობაში კოჭლი ამერიკა მონიშნა*

## ბოდე მილერი

არა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, ეს ბიჭი თოვლით დაფარულმა სამყარომ ბორმიოში გაიცნო. კარგა ხანია, მილერი ყოჩაღ მოთხილამურედ ითვლება, აგერ, 2004-05 წლის მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლასაც ლიდერობს და წინა წლებშიც ხან უსწრებდა და ხანაც თხილამურებზე აბიჯებდა ბობოლა ავსტრიელებს, მაგრამ ბორმიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მან ისტორიას მიუკაკუნა კარზე. ნახევართვიანი ტურნირის პირველივე დღეს, 29 იანვარს მან რეაქტიულ ავსტრიელებს — მიხაელ ვალხოფერს, ბენიამინ რაიხსა და ჰერმან მაიერს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სახეობაში, სუპერგიგანტში მესამე-მეოთხე ადგილები შეატოვა (მაიერი საერთოდ პოდიუმის გარეშე დარჩა) — თავად კი ბორმიოს ფერდობზე ყველაზე სწრაფად დაშვებულმა და კვარცხლბეკის წვერზე ყველაზე გვიან ასულმა მილერმა საზოგადოებას ამერიკის ჰიმნი მოასმენინა.

და ეს კიდევ არაფერი: ავსტრიელები ასე თუ ისე შეეგუვნენ სუპერგიგანტის დათმობას და მეორე ჩქაროსნული დისციპლინის, სწრაფდაშვებისთვის გააპრიალეს თხილამურები, მაგრამ...

მილერი გამუდმებით აკრიტიკებდა სამთო თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის ჩინოსნებს ახალი წესების ამოღებისთვის. კერძოდ, ვარჯიშზე ნაჩვენები დროის მიხედვით სტარტის თანმიმდევრობის დადგენისთვის — რეკლამის დამკვეთები ითხოვენ, ძლიერებმა სუსტების შემდეგ დაიწყონ სრიალი და ეს არასწორიაო. მაგრამ 5 თებერვალს სწორედ ამ წესებზე ააწყო თავისი ტაქტიკა და... მეორე ოქრო!

წინა დღის ოფიციალურ ვარჯიშზე მან შეგნებულად უხეიროდ ისრიალა და სხვა პოტენციურ ლიდერებზე ადრე დადგა სტარტზე. რაკი მის კონკურენტებს უფრო გვიან უწევდათ ჯერი, ერთი შეხედვით ამერიკელზე ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და — ყველანი ამ ქვეყნის შვილები ვართ — ცოტა მოეშვნენ. მაგრამ გამოვიდა ეს ჩვენი ამერიკელი სტარტზე და ისეთი დრო აჩვენა, სრულიად ავსტრიულ ბრიგადას გვარიანად აურია ფიქრები. ალპების ჭეშმარიტი შვილები წინასწარ, აბა, როგორ წაიძრობდნენ თხილამურებს, მაგრამ მილერის წუთსა და 56,22 წამს ვერაფერი ჩამოაჭრეს და ლამის საერთოდ უპოდიუმოდაც დარჩნენ.

სწრაფდაშვების შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ ვალხოფერი რბოლამდე ამბობდა, ან მე, ან მილერი, მესამე არ იქნებაო, მაგრამ ბედის ირონიით სუპერგიგანტის მილერთან წაგების შემდეგ სწრაფდაშვებაში მის გარდა კიდევ ერთი ამერიკელს, შედარებით უცნობ დარონ რალფზსაც ჩამორჩა და ბრინჯაოლა შერჩა.

ზემოთ ბოდე და ისტორია ვახსენეთ და მილერმა 10 თებერვალს მესამე მსოფლიოს ოქროს შეუტია. ეს უკვე მეტისმეტი იყო, ერთ ჩემპიონატზე კაცებში სამი ოქრო 40 წლის განმავლობაში არავის მოეხვეჭა და მილერიც თითქოს მზად იყო ამისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე არა — გიგანტურ სლალომში თავიდანვე გაუმრუდდა კურსი და მერე საერთოდ მოსრიალდა.

მაგრამ კიდევ შეიძლება მესამე ოქროს გამოდევნება: ხვალ სლალომში მედლების ბოლო კომპლექტი გათამაშდება და უნივერსალი ამერიკელი ერთხელაც ეცდება თავისას.

## ჰერმან მაიერი

9 თებერვალს ჩემპიონატის წამყვანი ტელევიზიის „რაის" მუშაკები გაიფიცნენ და ორგანიზატორებს ამ დღეს დაგეგმილი გიგანტური სლალომის ერთი დღით გადავადება მოუხდათ. ძნელი სათქმელია, ამან რაიმე გავლენა მოახდინა თუ არა შეჯიბრზე და 10 თებერვალს წაქცეული ბოდე მილერი წაიქცეოდა თუ არა 9 თებერვალს, მაგრამ გიგანტურ სლალომს მოულოდნელი ჩემპიონი ჰყავს — ჰერმან მაიერი! დიახაც, მოულოდნელი იყო „ჰერმინატორის" პირველობა. ეს კაცი, რომელიც წლების განმავლობაში ატერორებდა სამთო მოთხილამურეებს, ბორმიოში მხოლოდ წაგებებს ახერხებდა. საყვარელ სუპერგიგანტში ის მხოლოდ მეოთხე იყო, სწრაფდაშვების ვარჯიშზე კი ტრავმა მიიღო და მეორე დღეს მხოლოდ მე-17 დრო აჩვენა. მთებში პესიმისტური ექოც დაირხა, დიადი „ჰერმინატორის" დრომ ჩაისრიალაო, მაგრამ 1999 წლის შემდეგ რომელ ჩემპიონატზეც კი უსრიალია, მაიერი ოქროს გარეშე ერთხეც არ დარჩენილა და ჰა, ბორმიოდანაც წაიღო მსოფლიო ოქრო.



ანია პაერსონი

ერთიც აღვნიშნოთ: მაიერს მაინცდამაინც თხილამურებზე არ ეხატება გიგანტური სლალომი (სუპერგიგანტი ურჩევნია) და 1998 წელს ნაგანოს ოლიმპიადაზე მონადირებული ოქროს შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ამ დისციპლინაში პირველ ადგილს კი არა, პოდიუმს არ გაკარებია, მაგრამ ჩქაროსნულ სრიალში ხელმოცარვის შემდეგ იმედი არ წარკვეთია და ხედავთ, გაუმართლა კიდეც.

## ქალები

ქალბატონებზე ბევრს ვერას მოგახსენებთ, რაკი აქ ინტრიგები ნაკლებად იხლართება და თუ ტრავმა-ავადმყოფობებს და ამ მიზეზთა გამო მომხდარ გადანაცვლებებს არ ჩავთვლით, აქ მოულოდნელობები თითქმის არ ხდება.

ბორმიოდან რამდენიმე კილომეტრში, სანტა კატერინაში მთელი საქალეთი და ამათი მაცქერალი კაცები ორი მუხლმაგარი გოგოს — ხორვატი იანიცა კოსტელიჩისა და შვედი ანია პაერსონის ჭიდილს შორიდან უყურებენ. ორივეს კისერზე წყვილ-წყვილი ოქროა და მეხუთე და საბოლოო დისციპლინა — „ზოზინა" სლალომი მათ შორის უკეთესს გამოარკვევს. თუ მაინც შედარებაზე მიდგა საქმე, პაერსონი ოდნავ უფრო სტაბილურია და კომბინაციაში აღებული ერთი ვერცხლით ჯობს კოსტელიჩს. ხორვატი კი შვედ გოგოსთან ერთად ახლა სურდოსაც ებრძვის და ბოლო ქროლვის წინ ერთობ დაღვრემილადაც გამოიყურება.

სხვაფრივ კი, ქალებსაც და კაცებსაც თითო ჩამოსრიალება დარჩათ. დღეს ქალები ისლალომებენ, ხვალ კაცები და მსოფლიოს ჩემპიონატიც ჩასრიალდება.

**ბოტე ყორშია**

| | |
|---|---|
| **29 იანვარი. სუპერგიგანტი. კაცები** | |
| 1 ბოდე მილერი (აშშ) | 1წთ, 27.55წმ |
| 2 მიხაელ ვალხოფერი (ავსტრი) | 1წთ, 27.69წმ |
| 3 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 1წთ, 28.23წმ |
| **30 იანვარი. სუპერგიგანტი. ქალები** | |
| 1 ანია პაერსონი (შვედეთი) | 1წთ, 17.64წმ |
| 2 ლუჩია რეჩია (იტალია) | 1წთ, 18.09წმ |
| 3 ჯულია მანკუსო (აშშ) | 1წთ, 18.40წმ |
| **3 თებერვალი. კომბინაცია. კაცები** | |
| 1 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | |
| 2 აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | |
| 3 ჯორჯო როკა (იტალია) | |
| **4 თებერვალი. კომბინაცია. ქალები** | |
| 1 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | |
| 2 ანია პაერსონი (შვედეთი) | |
| 3 მარლის შილდი (ავსტრია) | |
| **5 თებერვალი. სწრაფდაშვება. კაცები** | |
| 1 ბოდე მილერი (აშშ) | 1წთ, 56.22წმ |
| 2 დარონ რალფსი (აშშ) | 1წთ, 56.67წმ |
| 3 მიხაელ ვახოფერი (ავსტრია) | 1წთ, 57.09წმ |
| **6 თებერვალი. სწრაფდაშვება. ქალი** | |
| 1 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1წთ, 39.90წმ |
| 2 ელენა ფანჩინი (იტალია) | 1წთ, 40.16წმ |
| 3 რენატე გოეტჩლი (ავსტრია) | 1წთ, 40.49წმ |
| **8 თებერვალი. გიგანტური სლალომი. ქალები** | |
| 1 ანია პაერსონი (შვედეთი) | 2წთ, 13.63წმ |
| 2 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2წთ, 13.82წმ |
| 3 ჯულია მანკუსო (აშშ) | 2წთ, 14.27წმ |
| **10 თებერვალი. გიგანტური სლალომი. კაცები** | |
| 1 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 2წთ, 50.41წმ |
| 2 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 2წთ, 50.66წმ |
| 3 დარონ რალფსი (აშშ) | 2წთ, 51.09წმ |

## საქართველოს ჩემპიონატი

**10 თებერვალი. ვერის ბაღი**

**თსუ 145:76 სსუ**

**31:23 45:12 31:22 38:17**

**თსუ:** ვეფხვაძე, მაისურაძე (5), ბაქრაძე, ფანჩულიძე (31), სანიკიძე (10); მარხვაშვილი (63), ხიზანიშვილი (19), ბერაია (14), გაფრინდაშვილი (3)

**სსუ:** პატარაია (13), ცხაკაია (5), იმედაშვილი (6), გასიტაშვილი (2), გოლეთიანი (16); ხოშტარია (14), ქვილითაია (8), ლ. ნოზაძე (6), ონიკაშვილი (4), ჯიქია (2)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ავიამშენი 79:64 დინამო**

**13:17 20:19 23:17 23:11**

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (5), ხოშტარია (17), ორმოცაძე, ნინიაშვილი (23), ბერძენიშვილი (15); თორთლაძე (13), ბოლქვაძე (6), ბ. ნოზაძე, დოლიძე

**დინამო:** კვიმსაძე (6), ბ. ბერიშვილი (8), ლაფანაშვილი (8), ჩხატარაშვილი (19), კილაძე (7); ბექაური (9), ხეცურიანი (4), სუხიშვილი (3)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**10 თებერვალი. რუსთავი**

**თუჯი 89:67 მაკაბი**



# მარხვა 63

## გიორგი დავითის რეკორდს მიუახლოვდა

**ირაკლი პერტაია**

რომ არა თბილისისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთა გუნდების მატჩში მომხდარი ერთი გამორჩეული ამბავი, ამ ტურის მთავარი თემა „ავიამშენისგან" „დინამოს" ძლევა იქნებოდა. ლიდერთა ჯახი ბევრად საინტერესო და დაძაბული იყო, მაგრამ „სტუდენტურ დერბიში" თსუ-ელმა გიორგი მარხვაშვილმა 63 ქულა ჩააგდო.

ეს შედეგი ხომ თავისთავად ამ ჩემპიონატის რეკორდია და ვინძლო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების 14-წლიან ისტორიაშიც ძნელად მოეძებნოს ანალოგი... სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს და დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა რაც ქართული კალათბურთის სტაჟიან გულშემატკივარს ახსოვს, ყველაზე მეტი ქულა დინამოელ დავით ჩიქოვანს მოუთვლია 90-იანი წლების შუაში. ჩიქოვანის რეკორდი 72 ქულაა და ამ ფანტასტიკური შედეგის გამეორებამდე მარხვაშვილს ცხრა ქულა დააკლდა.

სამაგიეროდ, მარხვაშვილმა ლამის გაიმეორა ჩიქოვანის სამქულიანების რეკორდი. ძველმა დინამოელმა მაშინ 21-ჯერ იმარჯვა შორიდან, მარხვაშვილმა კი გუშინ 20 სამქულიანი ჩაუგდო სოხუმელებს.

იკითხავთ — როგორ, რანაირად? როცა თსუ-ს გამთამაშებელმა პირველ ტაიმში ყველა სამიანი ჩააგდო, თითქმის მთელი გუნდი მისი პასებით მიმარაგებაზე გადავიდა და მარხვაშვილმაც, თუმცა მერე მიზანი შედარებით გაუმრუდდა, 20 შორი სროლის ჩაგდება მოახერხა. რაც უნდა იყოს და როგორც გინდა გეხმარებოდნენ, 63 ქულის მოგროვება ნაღდადარაა იოლი საქმე საქართველოს ჩემპიონატში...

თსუ-მ კი 145:76 გაანადგურა სსუ.

ამ ცალმხრივად საინტერესო მატჩის შემდეგ მართლაც დაძაბული თამაში გაიმართა, ლევან მოსეშვილმა მესამე ცდაზე დაამარცხა ერთ დროს მისი გაწვრთნილი „დინამო". „ავიამშენი" პრინციპული მეტოქის დამარცხებასთან წინა წრეში იყო ახლოს, როცა ბოლო მეოთხედში 17-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, თუმცა შიო ხეცურიანის საბედისწერო, სამქულიანმა იმსხვერპლა.

ახლაც გვარიანი, 13-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება მოუხდა „ავიამშენს", თუმცა საქმე ბოლო წამებამდე კი არ მიიყვანა, დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე გადაწყვიტა თამაშის ბედი.

ეს 13-ქულიანი ლიდერობა „დინამომ" მეორე მეოთხედის შუაწელში მოიპოვა, სადამდეც ზურაბ ტომარაძის გუნდი აშკარად ჯაბნიდა ავიატორებს. გამართული ტაქტიკა იყო ის იარაღი, რითაც დინამოელები მშვიდად გრძნობდნენ თავს თამაშის პირველ ნახევარში, თუმცა ლევან მოსეშვილის სამწყსომ როგორც იქნა, ალღო აუღო მეტოქის სწრაფ თამაშს და მესამე მეოთხედიდან მატჩი თავისი კარნახით წარმართა.

„ავიაციის" თავკაცმა მატჩამდე თქვა, სიმაღლეზე გავაკეთებ აქცენტსო და ასეც მოიქცა. მოსეშვილმა სასტარტოში გაამწესა დავით ბერძენიშვილი და თორნიკე ნინიაშვილი, რომლებმაც ფარქვეშ ისეთი მძლავრი ტანდემი ვერ შექმნეს, როგორსაც ალბათ მოსეშვილი ვარაუდობდა.

ვალერი კილაძე მედგრად დაუდგა „ავიამშენის" მაღლებს და როცა მას ხელს კაფანდარა, თუმცა გამრჯე ნიკა ჩხატარაშვილიც აშველებდა, „დინამო" თავის საქმეს აკეთებდა.

ფარქვეშა საფრთხე თავიდან რომ აიცილეს, დინამოელებმა ჩვეული სწრაფი თამაში გააჩაღეს და პირველი მეოთხედი 17:13 მოიგეს.

როცა მეორე ათწუთეულში „დინამომ" კიდევ უფრო აუჩქარა და ნახსენები 13-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მოსეშვილმა მოედნიდან ბერძენიშვილი გაიხმო და უკანა ხაზს გამოცდილი დავით თორთლაძე მიაშველა. ამ ცვლილებამ შედეგი გამოიღო, „ავიამშენის" დაბლებს საქმე გაუიოლდათ, ნინიაშვილი კი მარტო უფრო ხეირიანად ათამაშდა „დინამოს" სამწამიანში. სწორედ ნინიაშვილის დამსახურებაა, მოსეშვილის გუნდმა დიდი შესვენებისთვის 3 ქულამდე რომ შეამცირა ჩამორჩენა. ამ ახალგაზრდა მეფარემ მეორე ათწუთეულში 16 ქულა მიითვალა.

მეორე ტაიმი განახლდა და თორთლაძემ სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა (38:38) და ისე ყოჩაღად ათამაშდა, „ავიამშენის" მთელი უკანა ხაზი აიყოლია. მოსეშვილის გუნდმა მძლავრი დაცვა დააყენა და „დინამოს" მიჯრით 5 შეტევა ჩაუშალა. შედეგად „ავიაცია" 53:48 დაწინაურდა, გადამწყვეტი ათწუთეულის წინ.

გადამწყვეტ იერიში „ავიამშენმა" ისევ ფარზე მიიტანა. მოსეშვილმა ნინიაშვილს ისევ შეუწყვილა ბერძენიშვილი, თუმცა ამავდროულად მოედანზე ორი გამთამაშებელი გამოიყვანა. თორთლაძე-ნიკოლაძე-ხოშტარიას ტრიომ „დინამოს" სწრაფ უკანახაზელებს ფეხი აუწყო და „ავიამშენს" ფარზე უპირატესობა შერჩა. ბერძენიშვილმა ხელი გამოიღო და რამდენიმე ორქულიანი მიითვალა, პერიმეტრიდან კი ხან თორთლაძე გაისროდა ხოლმე და ხან ხოშტარია. დინამოელები მაინც არ ნებდებოდნენ და კინკილა სამქულიანებით „ავიამშენს" კუდში მისდევდნენ.

ერთ ეპიზოდში ანგარიში 68:64 გაიყინა და ორწუთიანი ამაო განდაგანის შემდეგ თორთლაძემ ითავა ლიდერობა. მან ახალგაზრდობა გაიხსენა და ისე მოხდენილად ატყუა დინამოელი მცველები, მაყურებელი აღტაცებაში მოვიდა. ცრუმოძრაობები ერთია და საქმე მეორე. „თორთლამ" ამაშიც იყოჩაღა და სამი ისეთი მორგებული პასი გაჩარხა გადამწყვეტ ეპიზოდში, ადრესატს ქულების მისათვლელად ჯაფა არ დასდგომია. აქეთ „ბერძენას" ჩააგდებინა თორთლაძემ, იქით ნინიაშვილს და მერე შორი სამქულიანით დინამოელებს საქმე მოუთავა — 75:64 და წუთნახევარი სირენამდე.

ამ ტურის თელავური შეხვედრა, რომელშიც „ბურჯი" სტუ-ს ხვდებოდა, მოყინული გზების გამო გადაიდო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 13 | 3 | +358 | 29 |
| ავიამშენი | 16 | 13 | 3 | +343 | 29 |
| სტუ | 15 | 13 | 2 | +242 | 28 |
| თსუ | 16 | 9 | 7 | +156 | 25 |
| თუჯი | 16 | 8 | 8 | +106 | 24 |
| მაკაბი | 16 | 4 | 12 | -303 | 20 |
| ბურჯი | 15 | 2 | 13 | -259 | 17 |
| სსუ | 16 | 1 | 15 | -523 | 17 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**9 თებერვალი**

**ტორონტო 107:110 მილუოკი**

**ტორონტო:** ალსტონი (16 ქულა, 12 პასი), პიტერსონი (14), როუზი (26), ბოში (12), არაუიო (7); ბონერი (15), მარშალი (12), ვუდსი (5), პალასიო

**მილუოკი:** უილიამსი (8), რედი (29), მეისონი (18), სმიტი (11), გაძურიჩი (10 ქულა, 12 მოხსნა); ჯეიმსი (14), კუკოჩი (10), ვან ჰორნი (6), ფაზეკასი (17 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა)

**მინესოტა 98:92 დენვერი**

**მინესოტა:** გარნეტი (24 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (18)

**დენვერი:** ენტონი (21), ბოიკინსი (19), მარტინი (16 ქულა, 11 მოხსნა)

*ციტიშვილი სათადარიგო იყო*

**ფილადელფია 95:98 მემფისი**

**ფილადელფია:** აივერსონი (38 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**მემფისი:** ჯონსი (23), სვიფტი (17)

**პორტლენდი 80:91 ნიუ ორლეანი**

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (30), მაილზი (15)

**ნიუ ორლეანი:** სმიტი (19), დიკაუ (17)

**ვაშინგტონი 95:87 სან ანტონიო**

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (35 ქულა, 11 მოხსნა), არენასი (24)

**სან ანტონიო:** პარკერი (22 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), როუზი (19), ჯინობილი (15)

**ნიუ ჯერსი 103:104 ლეიკერსი**

ძირითადი დრო 92:92

**ნიუ ჯერსი:** კიდი (28 ქულა, 12 მოხსნა, 12 პასი), კარტერი (27)

**ლეიკერსი:** ჯონსი (20), ბატლერი (19), უოლტონი (17), ოდომი (16 ქულა, 19 მოხსნა, 8 პასი)

**ბოსტონი 94:89 კლიპერსი**

**ბოსტონი:** პირსი (25 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ბლუნტი (17), ლაფრენცი (16)

**კლიპერსი:** ბრენდი (30 ქულა, 10 მოხსნა), მეჯიტი (21)

**ინდიანა 94:87 შარლოტი**

**ინდიანა:** ონილი (29 ქულა, 10 მოხსნა), ჯექსონი (22)

**შარლოტი:** ელი (20 ქულა, 17 მოხსნა), ბრეძეცი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი 110:116 მაიამი**

ძირითადი დრო 95:95

**ნიუ იორკი:** მარბერი (36), არიზა (16), კ. ტომასი (14 ქულა, 12 მოხსნა), ჰარდეუეი (14)

**მაიამი:** უეიდი (30), დ. ჯონსი (24), ე. ჯონსი (17), ონილი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**ჰიუსტონი 105:92 ჩიკაგო**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (24), მინგი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (16), ჩანდლერი (12 ქულა, 20 მოხსნა)

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 25 | 25 | 50,0 |
| ფილადელფია | 23 | 26 | 46,9 |
| ნიუ ჯერსი | 21 | 28 | 33,3 |
| ტორონტო | 15 | 23 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 19 | 30 | 38,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 28 | 19 | 59,6 |
| კლივლენდი | 28 | 19 | 59,6 |
| ჩიკაგო | 23 | 23 | 50,0 |
| ინდიანა | 23 | 25 | 47,9 |
| მილუოკი | 19 | 28 | 40,4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 37 | 14 | 72,5 |
| ვაშინგტონი | 29 | 19 | 60,4 |
| ორლანდო | 25 | 23 | 52,1 |
| შარლოტი | 10 | 36 | 21,7 |
| ატლანტა | 10 | 37 | 21,3 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 39 | 11 | 78,0 |
| დალასი | 31 | 16 | 66,0 |
| ჰიუსტონი | 29 | 21 | 58,0 |
| მემფისი | 29 | 21 | 58,0 |
| ნიუ ორლეანი | 9 | 40 | 18,4 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 33 | 13 | 71,7 |
| მინესოტა | 25 | 25 | 50,0 |
| დენვერი | 22 | 27 | 44,9 |
| პორტლენდი | 20 | 27 | 42,6 |
| იუტა | 16 | 33 | 28,6 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 39 | 11 | 78,0 |
| საკრამენტო | 32 | 16 | 66,7 |
| ლეიკერსი | 25 | 22 | 53,2 |
| კლიპერსი | 23 | 26 | 46,9 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 35 | 28,6 |

## ევროლიგა

Euroleague

**XIV ტური. 10 იანვარი**

**A ჯგუფი**

პარტიზანი 49:74 ეფესი

ოლიმპიაკოსი 90:80 ესტუდიანტესი

რეალი 79:81 კლიმამიო

პროკომი 83:78 სიგონა

**B ჯგუფი**

ოლიმპია 70:66 აეკ

სკავოლინი 83:69 სიენა

ჟალგირისი 86:72 ვილრბანი

ბარსელონა 81:79 მაკაბი

**ოლიმპიზმი**

# აფეთქება მადრიდის შანსებსაც აფეთქებს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ მას შემდეგ რაც მადრიდი მოინახულა და ესპანეთის დედაქალაქი დატოვა, საქმიან ცენტრში აფეთქების ხმა გაისმა.

როგორც იტყვიან, ამ აფეთქებას ერთი ფეხის ნაბიჯზე გაასწრეს კომისიის წევრებმა. ტერაქტის შედეგად ზოგი მონაცემით 39, ხოლო სხვა ცნობით 43 კაცი დაშავდა.

ამ ტერაქტზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ბასკთა ტერორისტულმა ჯგუფმა ეტამ.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს ტერაქტი ნეგატიურ გავლენას მოახდენს ესპანეთის დედაქალაქის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სამასპინძლო შანსებზე, მით უმეტეს, რომ სოკ-ის კომისიის მეთაური ნავალ ელ მუტავაკელის თქმით, ამა თუ იმ ქალაქის გასამართლებლად უსაფრთხოების საკითხები მთავარ პრიორიტეტთაგანია.

„უეჭველია, რომ ტერორისტთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი მადრიდისთვის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მისაღებად ხელის შეშლა იყო. ეტას დაჯგუფების ხალხმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ეს ტერაქტი უარყოფითად იმოქმედებდა მადრიდის შანსებზე" — თქვა მადრიდის მერმა ალბერტო რუის გალარდონმა.

შეგახსენებთ, რომ 1968 წლიდან დღემდე ეტას აფეთქებების შედეგად 830 კაცი დაიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს კამერა

ბერლინში პოპულარული ტელე-ჟურნალის პრიზი „ოქროს კამერა“ ძმებ კლიჩკოებსა და როჯერ ფედერერს გადასცეს — როჯერის დამჯილდოვებელი მისი თანამემამულე და თანამესპორტე მარტინა ჰინგისი იყო.



REUTERS ბერლინიდან





# მეექვსე ჩატარელი

დაბრკოლებათა გადალახვა: ეს შეჯიბრი ყატარში უკვე მეექვსედ ტარდება. ეს კოხტა მხედარი გოგო კი ქუვეითელი ნაუფ ალ ისა გახლავთ.



# შეწირულობა

ავსტრალიელ მოკრიკეტეთა ყოფილმა კაპიტანმა სტივ ვუმ გადაწყვიტა, რომ ცუნამის მსხვერპლთ დაეხმაროს და იმ საქველმოქმედო ორგანიზაციას დაუკავშირდა, რომელიც კალკუტაში ცნობილ ადამიანთა ნივთებს აგროვებს, რათა მერე გაყიდოს. ექსკაპიტანმა თავისი ლეგენდარული ტაფელა წარუდგინა კალკუტელ ჟურნალისტებს.

# პერის ჰილტონი

ამ ბოლო დროს „ნიუ იორკ ნიკსის“ თამაშებზე სიარულს მოუხშირა პორნოვარსკვლავმა პერის ჰილტონმა. კარგია, თუ კალათბურთს გაეჩვია, თუმცა, თამაშისას ის მაინც სხვა საქმითაა დაკავებული. მისი ამხანაგი რიჩი აკივაც ასე ფიქრობს, რომ გოგოს ცქერა უფრო არგებს.



REUTERS ნიუ იორკიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარღანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ ძალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge